ახალი განათლება

22-28.02.2018

№6 (800) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლები მუშავდება

გრძელვადიანი საუნივერსიტეტო პედაგოგიური განათლების რეფორმის ფარგლებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დასახა 2018-2019 სასწავლო წლიდან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება.

გვერდი 4

„ჩანს, ჩვენთვის დღეს აფხაზეთი უფრო შორსაა, ვიდრე აფრიკა“

„მე უარს ვამბობ ამ გაკვეთილის სწავლაზე“ – მეშვიდეკლასელი გოგონას პროტესტი ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ სწავლებასთან დაკავშირებით

ნათელა მაღლაკელიძე: „რაც შეეხება ტექსტის მხატვრულ ღირსებას, მოკლედ ვიტყვი – მას ჩემი დაცვა არ სჭირდება და საწყენია, თუ ზოგიერთმა მკითხველმა მასში მხოლოდ ნარკომანიის პროპაგანდა და მოზარდებისთვის ცუდი მაგალითი დაინახა. ბარემ აქვე შეგახსენებთ – იყო დრო, „ვეფხისტყაოსანსაც“ „ყმაწვილთა გარყვნას“ უკიჟინებდნენ და ამ წიგნს მაშინდელი ზნეობის „დამცველები“ კოცონზე წვავდნენ. კარგ ტექსტს კარგი ნამკითხველი სჭირდება და მხოლოდ ამოგლეჯილი ფრაზებით არ უნდა ვიმსჯელოთ მხატვრული ნაწარმოების ავ-კარგის შესახებ.“

გვერდი 10

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

თსუ — 100

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

გვერდი 2

პროფესიული განვითარება

გარე დაკვირვების კომპონენტი პილოტირებიდან ფართომასშტაბიან დანერგვაზე გადადის

გვერდი 5

უმაღლესი განათლება

ავტორიზაციას შეწირული უნივერსიტეტების შეუსრულებელი მისია

გვერდი 8

გამოცდები — 2018

საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება

გვერდი 11

CMYK

თსუ — 100

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

მიმდინარე წლის 8 თებერვალს არსებობის 30 წელი შეუსრულდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ უმნიშვნელოვანესი დაწესებულების საიუბილეო დღეს შესაფერი იქნება მოვიგონოთ ის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოანდომა ქართული მეცნიერების აღორძინებისა და თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეს.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11(23) აპრილს სოფ. ხოვლეში (ქართლში). საშუალო განათლება მიიღო თბილისის მესამე და პირველ გიმნაზიებში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოირჩეოდა ის ქართული ენისა და საქართველოს წარსულის ცოდნით. გარდა იმისა, რომ საქართველოს წარსულის გაცნობის მიზნით ის თვითონ მოგზაურობდა ხოვლეს მიდამოებში და ეცნობოდა ჩვენი წარსულის ძეგლებს, ის თავის ამხანაგებსაც ურჩევდა სათანადო წრეების დაარსებით შესდგომოდნენ ქართველი ერის ცხოვრების შესწავლას და არა ერთი მისი ამხანაგი დიდის მადლობით იგონებს ამას.

„დიდის ყურადღებით, გულდასმით ვუსმენ ვანოს, მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი. გაოცებული ვარ როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს, მასზე დაკვრას სწავლობს, მუსიკა ჰყვარებია... მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა. ვანოს ვხვდები არც ისე ხშირად, მაგრამ ყოველი შეხვედრა სტოვებს ჩემზედ დიდ შთაბეჭდილებას...

ვათავებ გიმნაზიას და საზაფხულოდ მივდივარ დაბა ახალქალაქში (გორის მაზრაში) ჩემს დასთან. რამდენიმე ხნის შემდეგ მახლობელ სოფელ ხოვლედან ჩამოდის ვანოც. მასაც დაუმთავრებია გიმნაზია და ზაფხულის მიწურულში აპირებს პეტერბურგში წასვლას უნივერსიტეტში მეცადინეობის დასაწყებად. ახალქალაქში ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყავს. ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანმე. შუაში ვანო უზის. იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უამბობს დამსწრეთ ქართულ წარსულზე, აწმყოზე და მომავალ პერსპექტივაზე: მოუწოდებს ახალგაზრდობას შეჰქმნან სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები, მოუწოდებს ყველას ქართული აპათიისგან გამორკვევას და თვითგანვითარების გზაზედ შედგომას... და გაათავებს ბაასს, მერე შესკუპდება თავის ცხენზე და ნახევარ საათში ისევ თავს ამოჰყოფს მშობლიურ სოფელში, სადაც იგი მოღვაწეობს ამგვარადვე და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთ ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა. ჭაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმედე“ (კოტე მაყაშვილი, „ჩვენი მეცნიერება“, 1926წ. №17-18, გვ. 1-3).

ასევე აღტაცებით იგონებს ივანე ჯავახიშვილის მოწაფეობის წლებს მისი კლასის ამხანაგი, ცნობილი ექიმი გაბრიელ სერგის ძე ფონდოევი: *„მე და ვანო ჯავახიშვილი,* – წერს ფონდოევი, – *ერთად ვსწავლობდით თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1895 წელს. ვანო ჯავახიშვილი არა თუ ჩვენი საერთო საყვარელი ამხანაგი იყო, იგი იყო ჩვენი კლასის სინდისი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თუ კი რაიმე საკითხი გვაწუხებდა ჩვენ, ვჩქარობდით გაგვეგო, თუ რას იტყოდა ვანო ჯავახიშვილი. თუ რომელიმე ამხანაგი რაიმე უდიერ საქციელს ჩაიდენდა, მისი საქციელის კოლექტიური გარჩევის ინიციატივა ვანოსგან მომდინარეობდა; მასვე მიანდობდა ხოლმე კლასი საკადრისად გაეკიცხა ის ამხანაგი... ჩვენ ძალიან გვიყვარდა ვანოს მოსმენა დასვენების დროს: ის დიდის ხალისით გვიზიარებდა, რაც წინა დღეს წაეკითხა ან თეატრში ენახა. სწორედ ვანო ჯავახიშვილი იყო, რომ ცუდი ქცევისგან თავს შეგვაკავებინებდა ხოლმე. მასწავლებლებს ყველას, უკლებლივ, უყვარდათ ვანო როგორც უაღრესად პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოწაფე. იგი ყველა ჩვენგანზე ადრე მიხვდა, რომ გიმნაზია ყველაფერს ვერ შეგვასწავლიდა. მიხვდა, რომ მოწაფემ თავის განვითარებაზე თვითონ უნდა იზრუნოს, სკოლის გარეშე მეცადინეობით უნდა დაწინაურდეს... ამას ის ახორციელებდა დიდის აღტაცებით და თავისი მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია მონაფეს ამ გზით. მისი წერითი სამუშაოები რუსულ ენაზე ძალიან შინაარსიანი იყო და მაღალ შეფასებას ღებულობდა მკაცრი პედაგოგისგანაც კი, რომელიც მის ნამუშევარს სანიმუშოდ გვიკითხავდა ჩვენ. მაგრამ განსაკუთრებულად უყვარდა ვანოს ისტორია; თვით ისტორიის მასწავლებელსაც უყვარდა ვანოს პასუხების მოსმენა, რომლებიც არასდროს არ იყო გაზეპირებული და ტრაფარეტული; ეს პასუხები ყოველთვის ამომწურავად გადმოგვცემდნენ იმ ეპოქის სულს, რომელზედაც მოგვითხრობდა ვანო.*

ვანო ჯავახიშვილი განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებს ეტანებოდა: ლიტერატურა, ისტორია, ძველი და ახალი ენები – აი მისი ინტერესების სფერო; მათემატიკური საგნები, ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, მაინცდამაინც არ იტაცებდა მას.

უკანასკნელს, მერვე კლასში ყველა გიმნაზიელის წინაშე იდგა კითხვა – რომელ უმაღლეს სასწავლებელში შევიდეო. ბევრი ჩვენგანისთვის მომავალი ბურუსით იყო მოცული. ვანო ჯავახიშვილისთვის კი პერსპექტივა ნათელი იყო, ყველაზე დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის იცნობდეს თავის თავს, ითვალისწინებდეს საკუთარ ძალღონეს; ეს ბედნიერება უთუოდ ჰქონდა ვანო ჯავახიშვილს, მისთვის ნათელი იყო ის გზა, რომლითაც მას უნდა ევლო და თავისი მეცნიერული საქმე შეესრულებინა“ (გ. ფონდოევი; მასალა საქართველოს მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის კაბინეტისა).

* * *

1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ნ. მარის, ალ. ცაგარელის, ვ. როზენის, პ. კოკოვცევის და სხვათა ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას ქართულ-სომხურ ფილოლოგიის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დარგში. სპეციალურ საგნად ის ირჩევს საქართველოს და სომხეთის ისტორიას. თუ რა ინტენსიური იყო მისი მუშაობა ამ ხნის (1895-1899) განმავლობაში, მოწმობს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის დასრულებისას (1899 წელს) მას თავისუფლად შეეძლო ბერძნულ-ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროთა მომარჯვება; თხზულებისთვის „წმინდანთა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“ იგი ოქროს მედლით იქმნა დაჯილდოებული; პროფ. ჰარნაკიც, რომელთანაც ის შემდეგ (1901 წელს) ბერლინში მუშაობდა, საგანგებოდ აღნიშნავს მის მკვიდრ ცოდნას სპარსული ენისას.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტთან იქმნა დატოვებული საპროფესორო მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად ნ. მარის წარდგენით. 1901 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ქართველოლოგიის დარგში. ამგვარად, საპროფესოროდ დატოვებულმა ივანე ჯავახიშვილმა 1901 წელს მოიპოვა „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტის ხარისხი“.

1902 წელს (აპრილიდან ნოემბრამდე) ივანე ჯავახიშვილი პროფესორ ნ. მართან ერთად მოგზაურობს სინას მთაზე იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად. ნ. მარი აქაც დიდ მზრუნველობას იჩენს თავის მოწაფეზე; მას ახარებს ყოველი მისი წარმატება მუშაობაში, აღონებს მისი ფიზიკური სისუსტე. თითქმის ყოველ წერილში, რომელსაც ის სწერს ფაკულტეტის დეკანს და თავის პირად მეგობარს, აკადემიკოს ვ. როზენს ნიკო მარი ახსენებს ივანე ჯავახიშვილს.

...ჯავახიშვილი ძალიან ბეჯითად მუშაობს; უკვე ოთხი ხელნაწერი აღწერა დაწვრილებით.

სინას მთა. 1902წ. ივნისის 21 (ივლ. 4).

პალესტინის მცოდნეობის საკითხი... ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასად მეჩვენება მე პალესტინის „თთუენი“, X საუკუნისა, რომელიც ჯავახიშვილმა უკვე თითქმის მთლიანად გადმოსწერა. – ალექსანდრია 1902 წ. აგვისტოს 9.

ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითია და ამტანი აღმოჩნდა. მონასტერში კვება საკმაოდ მოისუსტებდა, „მონასტრის უხარშავი ლობიო“. განსაკუთრებით მძიმე იყო უდაბნოში მგზავრობა. სინას მთიდან სუეცამდე აქლემებით ვიარეთ; გვქონდა ოთხი ყუთი „სარდინკა“, ოთხი ბულიონი (ოთხ-ოთხი კოვზი) და ორი ყუთი შესქელებული რძე. განსაკუთრებით გაუჭირდა ჯავახიშვილს: „სარდინკის“ გარდა არაფერს ჭამს. ...(გზაში ფული შემოკლებიათ, რუსულ საზღვაოსნო სააგენტოს უარი უთქვამს უფასო ბილეთზე). იძულებული ვიყავი მთელი ფული, რაც მქონდა, ჯავახიშვილისთვის მიმეცა, რომ ის მაინც გამემგზავრებინა შინ. მე აქ დავრჩი.“ (ნიკო მარის დღიურებიდან)

* * *

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა ითხოვა ლექციების კითხვის ნებართვა. ამის შესახებ ფაკულტეტის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა რექტორის წინაშე. უნივერსიტეტის რექტორმა დააკმაყოფილა ფაკულტეტის შუამდგომლობა და 1903 წლის 1 იანვრიდან ივანე ჯავახიშვილი შეუდგა ლექციების კითხვას.

1903 წლის 1 იანვარი უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან თარიღად ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში. 26 წლის ჭაბუკმა მოიპოვა პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტის წოდება და ამით მას მიეცა საშუალება შესდგომოდა იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც იმთავითვე ჰქონდა დასახული: ერთი მხრით, შეექმნა ჭეშმარიტ მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული „საქართველოს ისტორია“, ხოლო მეორე მხრით ეზრუნა მომავალი სამეცნიერო კერის, ქართული უმაღლესი სკოლის შექმნაზე.

1903 წლის იანვრიდან დაწყებული ვიდრე 1917 წლამდე ივანე ჯავახიშვილი ჰკითხულობდა პეტერბურღის უნივერსიტეტში ლექციებს ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა დარგიდან, ქართულად და რუსულად. მისი ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა 1903-1917 წლებში დიდს წარმატებითს შედეგებს იძლეოდა. ამ წლებში დასწერა მან თავისი სადისერტაციო შრომა „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყო-

სიმონ ჯანაშია და ივანე ჯავახიშვილი, არმაზი



ᲗᲡᲣ — 100

ბილება“ (პეტერბურგი. 1905წ. რუსულად), რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო რეცენზენტების – ნ. მარისა და ვ. ბარტოლდისა. რეცენზენტები აღნიშნავდნენ სადისერტაციო შრომაში *„საკითხების ნათელსა და ზედმიწევნითს დაყენებას, სისწორეს კვლევის გეზისას, რომელიც დასმული საკითხების გადასაჭრელად იყო არჩეული, და მთავარი დებულებების საფუძვლიანობას“* (იხ. პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმეთა ფონდი 14).

1913-1914 წლებში, 37 წლის ახალგაზრდა მეცნიერს უკვე შემუშავებული ჰქონდა გარკვეული ისტორიული კონცეფცია ქართველი ერის თავგადასავალზე, მისი ისტორიის დასაბამიდან ვიდრე XIII საუკუნემდე („ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნი თავდება თამარ მეფის გარდაცვალებით). ეს „ისტორია იყო აგებული წყაროების, ქართულისა და უცხოურის (ბერძნულის, სომხურის, ასურულის, არაბულის და სხვ.), საფუძვლიანსა და კრიტიკულ შესწავლაზე; ეს „ისტორია“ იყო აგებული საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროს, „ქართლის ცხოვრების“ სრულიად ახალი თვალსაზრისით შესწავლაზე, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, რომ იგი („ქართლის ცხოვრება“) წარმოადგენს სხვადასხვა ისტორიკოსთა ნაწარმოებების კრებულს და, მაშასადამე, იგი უნდა გამოვიყენოთ არა საერთო მიდგომით თითოეული ისტორიკოსისადმი. ივანე ჯავახიშვილმაც ზედმიწევნით შეისწავლა „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი საისტორიო თხზულებები და მათ ავტორებს ზოგს მეტი ნდობა გამოუცხადა, ზოგს ნაკლები.

* * *

1917 წლის მაისში, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: *„რასაკვირველია ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართული მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შეჰქმნას; ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარი დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ. ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართული მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ. №63).*

აი, ამ მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერების, ქართული მეცნიერების შექმნაზე და აყვავებაზე ზრუნავდა ის იმთავითვე. ამით აიხსნება, რომ ივანე ჯავახიშვილი ქართულად სწერს თავის ძირითად გამოკვლევებს („საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართველი ერის ისტორია“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“) და პეტერბურგის უნივერსიტეტში რუსულთან ერთად ქართულადაც ჰკითხულობდა ლექციებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი საქმე იქნებოდა მაშინდელ თვითმპყრობელურ რუსეთში სახელმწიფო მოხელისათვის, „სანქტპეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის“ პრივატ-დოცენტისთვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში სავალდებულო ლექციების კითხვა ქართულად. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი მაინც განაგრძობდა ამ გზით მოღვაწეობას, რადგან მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რაოდენ საჭირო იყო ქართული სამეცნიერო ტრადიციების შესაქმნელად ქართველი სტუდენტობისთვის ქართულად ლექციების კითხვა.

* * *

1907-1914 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოიპოვება აუარებელი მასალა ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისში წაკითხულ საჯარო მოხსენებათა შესახებ, და ჩვენ იქიდან ვტყობილობთ, თუ როგორ ითვისებდა ხალხი ივანე ჯავახიშვილის მოხსენებათა წყალობით ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევებს... ივანე ჯავახიშვილი უნერგავდა მსმენელთ ღრმა სიყვარულს საქართველოსადმი და მისი კულტურისადმი.

გაზეთის მიმომხილველი წერს: *„ქართველებმა მიაღწიეს მიზანს* – ამბობდა ლექტორი – *და ბერძნებს არაფერში ჩამორჩნენ, თუ არ გადააჭარბეს კიდეც. ამ ხანში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთო საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც-კი იყო არავითარ იმერლობა ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რისამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა. საქართველოდან სამი ათას ვერსით მოშორებულს, სადღაც სინას ხრიოკ მთაზე გადახვეწილ ქართველს, რომელსაც კულტურულ შრომისა და ხასიათის განმტკიცებისთვის უარეყო ცოლშვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი მიწა-წყალი, იქ, იმ უდაბნოში, სხვა არა ახსოვდა რა გარდა საქართველოსი. სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერექსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისთვის, საზღვრების განმტკიცებისთვის, ერისთავთა დაწყნარებისთვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“...*

ივანე ჯავახიშვილის ასეთმა მუშაობამ (ერთის მხრით, სტუდენტთა შორის, ხოლო მეორე მხრით ქართული საზოგადოების ფართო წრეებში) შეამზადა ნიადაგი ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის და ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის.

* * *

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში მან ჩამოაყალიბა პეტროგრადშივე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფი, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ დააარსა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომლის დამფუძნებელ კრებაზე 1917 წლის 12 მაისს წაიკითხა ვრცელი მოხსენება „უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“.

1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) გაიხსნა თბილისის ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ ერთი ფაკულტეტით (სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი) და ამ ფაკულტეტის დეკანად პროფესორთა საბჭოს მიერ ივანე ჯავახიშვილი იქნა არჩეული.

ერთი წლის შემდეგ (1919 წელს) ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად დატვირთვისა, მას იოტის ოდნავადაც არ შეუნელებია თავისი კვლევითი მუშაობა. დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა და განსაკუთრებით 1921 წლიდან, ივანე ჯავახიშვილი ყოველწლიურად აქვეყნებდა კაპიტალურ ნაშრომებს (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, პირველი და მეოთხე ტომები, ქართული სამართლის ისტორიის სამი ტომი, ქართული მუსიკის ისტორია და სხვ.). გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ივანე ჯავახიშვილი მუშაობდა აგრეთვე საქართველოს მუზეუმში, სადაც ხელმძღვანელობდა (1926 წლიდან) ისტორიულ განყოფილებას და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო 1937 წლიდან აგრეთვე რუსთაველის მუზეუმში, რომლის დირექტორი იყო უკანასკნელ წუთამდე.

შესანიშნავი მეცნიერი დაუღალავად, უდიდესი სიყვარულით მუშაობდა თავისი ქვეყნის ისტორიული ძეგლების შესწავლაზე, ახდენდა უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენებს, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს (დმანისი, ბოლნისი, მცხეთა, არმაზი). ამასთანავე იგი მზრუნველობით ზრდიდა მეცნიერთა ახალ კადრებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მრავალ მეცნიერულ საქმიანობას.

ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. დღემდე დაბეჭდილია 93 ნაშრომი, რომელთაგან 32 წიგნად არის გამოცემული. მაგრამ მას აღარ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა ყველა თავისი განზრახვა. საბრძოლო პოსტზე მოულოდნელად მოუსწრო სიკვდილმა, თავისი მეგობრებისა და მოწაფეების თვალწინ, 1940 წლის 18 ნოემბერის საღამოს 10 საათზე, როდესაც ის კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებას თემაზე „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ქართველი ხალხის – ერთ-ერთი უძველესი ხალხის, მეცნიერული ისტორიის შემქმნელი... მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტი მეცნიერების სამსახურს, მშრომელი ხალხის სამსახურს.

მომზადებულია 1948 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული სიმონ ყაუხჩიშვილის ვრცელი მონოგრაფიის მიხედვით

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა განათლების მეცნიერების დოქტორის, პროფესორ **ნათელა დოღონაძის** სახელმძღვანელო „განათლების მეცნიერება“.

წიგნი აღნიშნული დარგის 14 თემადაა დაყოფილი და განათლების მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებას მოიცავს, როგორებიცაა: მასწავლებლის საქმიანობა, განათლების ფილოსოფია, სასწავლო პროცესი, შეფასება საგანმანათლებლო პროცესში, კანონმდებლობა განათლების შესახებ და ა.შ.

სახელმძღვანელო, რომელიც ავტორის პუბლიკაციების მიხედვითაა აგებული, გამიზნულია და გამოსადეგია მასწავლებლის მომზადების პროგრამებისა და განათლების მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიის მაღალ სამეცნიერო სანდოობასა და ღირებულებას უზრუნველყოფს ავტორის ცოდნა და გამოცდილება განათლების მეცნიერების მიმართულებით მოღვაწეობისა და კვლევის თვალსაზრისით.

ყოველი თემა ლაკონურად და ლოგიკურად გადმოგვცემს შესაბამის აუცილებელ ინფორმაციას. მათში როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებზე, განათლების დარგში მრავალ სანდო კვლევასა და ავტორის მოსაზრებებზე დაყრდნობით, მოცემულია ის მასალა, რომელიც აუცილებელია ამ სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. საჭიროების შემთხვევაში ავტორისეული იდეები და პოსტულატები ილუსტრირებულია სათანადო მაგალითებით, მათ შორის სტატისტიკური მონაცემებით. ნიშანდობლივია, რომ მაგალითები მოხმობილია როგორც ქართული, ასევე უცხოური ქვეყნების რეალობიდან, ხშირად, საკითხის უკეთ გააზრებისთვის, ისინი ერთმანეთთან შედარებულ-შეპირისპირებულია. ყველა პრობლემა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ან არსებობს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში, ახალი რაკურსითაა დანახული, განსაკუთრებით კი განათლების სისტემისა და სოციუმის ურთიერთმიმართება.

სახელმძღვანელოს უდავო ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ მასში მკაფიოდ და თანმიმდევრულადაა გადმოცემული ის უახლესი მიღწევები, რომელიც არსებობს თანამედროვე განათლების მეცნიერებასა და მის მომიჯნავე სფეროებში, როგორებიცაა: სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ა.შ. ეს მიღწევები ხშირად ისტორიულ ჭრილშია ნაჩვენები, ე.ი. წარმოჩენილია, თუ როგორ მივიდა სამეცნიერო საზოგადოება ამა თუ იმ იდეამდე.

წიგნის „განათლების მეცნიერება“ განსაკუთრებული ფასეულობაა ის, რომ იგი უაღრესად საჭირო და სასარგებლო ინფორმაციასა და რჩევებს შეიცავს ნებისმიერი პედაგოგისთვის, განსაკუთრებით დამწყებთათვის, მათი კარიერის წარმატებით წარმართვისათვის, ასევე მშობლებისა და სწავლების პროცესში ჩართული ნებისმიერი პირისთვის, რათა ისინი სიღრმისეულად ერკვეოდნენ პიროვნების ასაკობრივ და ფსიქოინტელექტუალურ თავისებურებებში და სათანადოდ წარმართონ აღზრდა-განათლების პროცესი.

სახელმძღვანელო ერთგვარი მცირე ენციკლოპედიაა, ცნობარი განათლების მეცნიერების დარგში. ამის თქმის საშუალებას ისიც იძლევა, რომ მასში მოცემულია დარგის როგორც უახლესი, ასევე დამკვიდრებული ცნებები, ტერმინები, უმეტეს შემთხვევაში თავისი განმარტებებით, რაც ნებისმიერ პიროვნებას მისცემს საშუალებას, გაეცნოს ტექსტს.

წიგნის კიდევ ერთი დადებითი მხარე, რომელიც ზემოთ აღნიშნულს უკავშირდება, ისაა, რომ ტექსტი გასაგები, თემატიკის მიხედვით მეგობრულ-დამრიგებლური, გასაგებად აკადემიური ხელწერითაა შესრულებული, ასევე, იმდენად მართებულადაა დაყოფილი ქვეთავებად, პუნქტებად და ზომიერად გაჯერებული ცხრილებითა და სქემებით, რომ ვიზუალურადაც ადვილად აღსაქმელია მკითხველისთვის. ყოველი თემა სრულდება სათანადო საშინაო დავალებებით. წიგნს ასევე ერთვის კომპაქტდისკზე განთავსებული ელექტრონული და აუდიოვერსიები, სლაიდების კომპლექტი სალექციო კურსისთვის.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ნათელა დოღონაძის „განათლების მეცნიერება“ დროული და აუცილებელია ქართული რეალობისთვის, რადგან მასწავლებლებსა და სასწავლო დაწესებულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებს, ენობრივი ბარიერის გამო, ხშირად არ აქვთ წვდომა იმ უახლეს ფასეულ ინფორმაციაზე, რომლის გარეშეც რთულია განათლების დარგში ეფექტურად საქმიანობა.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, მოცემული სახელმძღვანელო განათლების მეცნიერების შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი, თუმცა, მისი შინაარსიდან, თემატიკიდან, ენობრივი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე ნამდვილი შენაძენია, სამაგიდო წიგნია ნებისმიერი ოჯახისთვის, ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც აინტერესებს განათლების დარგი.

ᲚᲘᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ
განათლების მეცნიერებათა დოქტორი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლები მუშავდება

უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად სეგმენტს წარმოადგენს დარგობრივი მახასიათებლის/სტანდარტების შექმნა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებად საგანმანათლებლო პროგრამებს შექმნიან.

ამ თემაზე საუბრობს **ეკატერინე ნაცვლიშვილი**, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი.

– რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება და რა წინაპირობა უძღოდა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას?

– საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლების**, როგორც **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის**, შემუშავება. სწორედ დარგობრივი მახასიათებელია ის ინსტრუმენტი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განხორციელების პროცესს. დარგობრივი მახასიათებელი, როგორც საგანმანათლებლო სტანდარტი, აღწერს: იმ მინიმალური სწავლის შედეგებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი საფეხურის დარგის/სპეციალობის, კვალიფიკაციის მფლობელს; ამ შედეგების მიღწევისა და შეფასების გზებს; სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულო რესურსებს (მატერიალური, ტექნიკური, ადამიანური); სხვა არსებით მახასიათებლებს, რომლებიც სავალდებულოა აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. მაშასადამე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების განახლებას და მათ მოყვანას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებთან (ESG 2015) შესაბამისობაში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, 2017 წელს, დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა: დამტკიცდა „პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელსაც დარგობრივი საბჭოების საქმიანობის კოორდინაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა დაევალა; საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა-ანალიზისა და უცხოელ ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად, შეიქმნა დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“; უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დაკომპლექტებისა და შემდგომი საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულება“, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა საბჭოს საქმიანობის მიზანი და ფუნქციები, შემადგენლობა და ფორმირების წესი; დაინტერესებულ მხარეებთან (საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, ასოციაციები) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, გასულ წელს, 6 მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო შეიქმნა და დაიწყო მუშაობა შესაბამისი მიმართულებების დარგობრივ მახასიათებლებზე.

– რომელი დარგები განისაზღვრა პრიორიტეტებად და რა ნიშნით?

– სამოქმედო პრიორიტეტად განისაზღვრა დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება რეგულირებადი პროფესიების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. შედეგად, 2017 წელს დარგობრივი მახასიათებლები „საზღვაო ნავიგაციის“, „საზღვაო ინჟინერიის“, „საზღვაო ელექტრო ინჟინერიის“, „მედიცინის“, „მასწავლებლის განათლების“, „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შეიქმნა.

საზღვაო ტრანსპორტის სფეროში დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების და ამოქმედების აუცილებლობა განაპირობა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილმა ვალდებულებებმა, აგრეთვე, საზღვაო ტრანსპორტის დარგის განვითარების მიზნით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების საჭიროებამ. ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ, 2012 წელს ჩატარებული აუდიტის (რომელმაც შეისწავლა საქართველოში მეზღვაურთა მომზადებისა და წვრთნის პროგრამის შესაბამისობა „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის (STCW-1978/95, 2010წ-ის ცვლილებების გათვალისწინებით) და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტებთან) ანგარიშის საფუძველზე, შეტანილი იქნა ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და 75-ე მუხლის შესაბამისად, საზღვაო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამები რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხაში შევიდა. ზემოაღნიშნულმა გარემოებამ დღის წესრიგში დააყენა, საზღვაო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით, ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტის – დარგობრივი მახასიათებლის – შემუშავება, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, განსაზღვრავს მეზღვაურთა განათლებისა და წვრთნების მიზნებს, კომპეტენციის ფარგლებს, სავალდებულოდ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის სპეციფიკურ მეთოდებს, აგრეთვე, სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა თუ ადამიანური რესურსისადმი. ამ მიზნით შეიქმნა **ტრანსპორტის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო**, რომელიც დაკომპლექტდა ტრანსპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ რეკომენდებული დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სამუშაო ჯგუფის ინტენსიური მუშაობის შედეგად, შეიქმნა და საბჭოს განსახილველად წარედგინა „საზღვაო ნავიგაციის“, „საზღვაო ინჟინერიის“ და „საზღვაო ელექტრო ინჟინერიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. საბჭოს წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს დარგობრივი მახასიათებლების წარმოდგენილ პროექტებს, დაადასტურეს მათი მაღალი ხარისხი, სრული შესაბამისობა საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებთან და უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, ერთხმად დაუჭირეს მხარი პროექტების დამტკიცების რეკომენდაციას.

– რამ გამოიწვია მედიცინისა და პედაგოგიკის სფეროში მოქმედი ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტის განახლება?

– **მედიცინის** მიმართულების დარგობრივი მახასიათებლების განახლების აუცილებლობაც განპირობებულია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებით, მედიცინის დარგის განვითარების მიზნით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტებთან (WFME), თუინინგის სახელმძღვანელოსთან (A TUNING Guide to Designing and Delivering an Outcomes-Based Undergraduate Medical Curriculum) და სხვა მნიშვნელოვან რეგულაციებთან შესაბამისობაში შემუშავება-განხორციელების და სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების საჭიროებით. მედიცინის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (360-კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლის შესამუშავებლად შეიქმნა მედიცინის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მედიცინის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცებას წინ უძღოდა სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვები, აგრეთვე, საერთაშორისო ექსპერტიზა. პროექტის სამუშაო ვერსია განსახილველად გადაეგზავნა **მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის მრჩეველს, საერთაშორისო ექსპერტს, თიუფიქ ნავარს**. ბ-ნი ნავარი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თავისი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შეხვდა დარგობრივი საბჭოს წევრებს, უშუალოდ ჩაერთო დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ვერსიის განხილვის პროცესში და საკუთარი მოსაზრებები გააცნო. საერთაშორისო ექსპერტმა დარგობრივი მახასიათებლის პროექტს მაღალი შეფასება მისცა და საერთაშორისო მოთხოვნებთან და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მისი შესაბამისობა დაადასტურა. გარდა აღნიშნულისა, დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცებამდე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის საჯარო განხილვები შედგა. განხილვის პროცესში, დაინტერესებულ მხარეთა (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების, დამსაქმებლების, დარგის პრაქტიკოსი-ექსპერტების) მიერ შეთავაზებული სარეკომენდაციო წინადადებები ასახულ იქნა მედიცინის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლის დასრულებულ პროექტში.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ სქემამ, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის თებერვალში დაამტკიცა, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (300-კრედიტიანი) პროგრამის შემუშავების აუცილებლობა განსაზღვრა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გრძელვადიანი საუნივერსიტეტო პედაგოგიური განათლების რეფორმის ფარგლებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა 2018-2019 სასწავლო წლიდან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება. ამ გარემოებამ „მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობა წამოჭრა, რადგან მკაფიოდ გამოიკვეთა არსებული საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლის განათლებისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელების საჭიროება. მასწავლებლის განათლების საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, **მასწავლებლის მომზადების** ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (300-კრედიტიანი) პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება-განხილვის პროცესიც დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით წარიმართა. შეიქმნა განათლების მიმართულების დარგობრივი საბჭო, რომლის შემადგენლობაც 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, კერძო სკოლების ასოციაციის, კერძო და საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდა. საბჭოს წევრების გარდა, „მასწავლებლის განათლების“ დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ დაინტერესებული მხარეები: დარგის მაღალკვალიფიციური

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სპეციალისტები, მოწვეული პრაქტიკოსები და ექსპერტები, მათ შორის, **გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროგრამის „საქართველო-ესტონეთის თანამშრომლობა განათლების სფეროში“** წარმომადგენელი, **საერთაშორისო ექსპერტი ენესილვია სარვი.** ქ-ნი სარვი, საქართველოში თავისი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, არა მხოლოდ შეხვდა დარგობრივი საბჭოს წევრებს, არამედ, სამუშაო ჯგუფის წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, უშუალოდ ჩაერთო დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება-განხილვის პროცესში. საერთაშორისო ექსპერტმა მაღალი შეფასება მისცა დარგობრივი მახასიათებლის პროექტს და დააადასტურა მისი შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

სავეტერინარო განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პრიორიტეტულობა განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ 2017 წლის დეკემბერში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმადაც, სავეტერინარო განათლება რეგულირებადი გახდა. კანონის ჩანაწერის შესაბამისად, ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეკისრა ვალდებულება, 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე, საგანმანათლებლო პროგრამები სავეტერინარო განათლებისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ. აღნიშნულმა გარემოებამ განსაზღვრა დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების საჭიროება, ერთი მხრივ, სავეტერინარო განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (300-კრედიტიანი) პროგრამებისათვის, მეორე მხრივ, 60-კრედიტიანი პროგრამებისათვის, რადგან დღის წესრიგში დადგა იმ პირთა საკითხი, რომლებსაც 240-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მიზანშეწონილია, მათთვის არსებობდეს ადეკვატური და ალტერნატიული გზა შემდგომი განათლების მიღებისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება სწორედ კანონით გათვალისწინებული ვეტერინარიის 60-კრედიტიანი პროგრამის არსებობა, რომლითაც 2011 წლიდან დღემდე საბაკალავრო პროგრამის ყველა კურსდამთავრებულს, დამატებითი 60 კრედიტის გავლის შემდგომ, მიეცემა სერტიფიცირების და დოქტორანტურაში სწავლების უფლება.

სავეტერინარო განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესიც დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით წარიმართა. ვეტერინარიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დაკომპლექტდა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოსა და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტ-სანიტარული ზედამხედველობის სამმართველოს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის პათომორფოლოგიური კვლევების და პარაზიტოლოგიის ლაბორატორიის, ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაციის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის წარმომადგენლებით. ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებლის ექსპერტული შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობით, დასრულებული პროექტი გადაეგზავნა **კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორს, ამერიკის შეერთებული შტატების USDA-ის ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის კოორდინატორს**, ქალბატონ **დები რეინოლდს**. საერთაშორისო ექსპერტმა შესრულებული სამუშაო დადებითად შეაფასა და დარგობრივ მახასიათებელში ასახული ინფორმაციის ვეტერინარიის განათლების ევროპული ასოციაციის (EAVE) მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა დაადასტურა.

– როგორია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით?

– ცენტრი კვლავ აგრძელებს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლების პროექტების შემუშავება-განხილვას. ამ ეტაპზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სამართლის, მასნავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი და ვეტერინარიის 60-კრედიტიანი პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლების პროექტებზე. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია დარგობრივი მახასიათებლების პროექტების შემუშავება ქართულ ენაში მომზადების; აგრონომიის; სასურსათო ტექნოლოგიების; სატყეო საქმის; საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. აგრეთვე, 2018 წლიდან კანონით რეგულირებად პროფესიებად განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისი პროგრამებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დარგობრივი საბჭოს სამუშაო ჯგუფის წევრთა აქტივობა მხოლოდ დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება-განხილვით როდი შემოიფარგლება. დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ფართო ჩართულობის მიუხედავად, პროექტის დამტკიცების შემდეგ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას უკვე საკონსულტაციო შეხვედრების ფორმატში აგრძელებს. ასევე, ყველა დაინტერესებულ დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტებები და რეკომენდაციები მიიღონ არა მხოლოდ ცენტრის უფლებამოსილ პირთაგან, არამედ უშუალოდ დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე მომუშავე საბჭოს წევრთაგან.

ესაუბრა
ანა ფირცხალაიშვილი

პროფესიული განვითარება

გარე დაკვირვების კომპონენტი პილოტირებიდან ფართომასშტაბიან დანერგვაზე გადადის

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, გარე დაკვირვების გავლის მსურველი უფროსი მასწავლებლების რეგისტრაციას აცხადებს. გარე დაკვირვება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში შემოწმებას ემსახურება, რომლის გავლაც უწევს უფროს მასწავლებელს წამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად.

რეგისტრაციის უფლება ექნება უფროს მასწავლებელს, რომელსაც სურს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება და რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთს: აქვს არანაკლებ 13 კრედიტქულა, მათ შორის, მინიმუმ, 2 კრედიტქულა მოპოვებული აქვს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო აქტივობებიდან (2 სამოდელო გაკვეთილი ან კვლევა); უფროსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოპოვების შედეგად, განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

I ეტაპი – რეგისტრაცია

გარე დაკვირვების გავლის მსურველი პირი რეგისტრაციას ახორციელებს eshool-ის ელექტრონულ სისტემაში, სპეციალურ ბმულზე და აუცილებელია, რეგისტრაციის დროს შეავსოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგანი, რომელსაც ასწავლის მასწავლებელი და რომელშიც სურს გარე დაკვირვების გავლა; ბ) კლასი, რომელშიც გეგმავს გარე დაკვირვებისთვის საგაკვეთილო პროცესის წარმართვას.

II ეტაპი – გაკვეთილის წარდგენა

რეგისტრაციის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, დარეგისტრირებული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამტკიცებს გარე დაკვირვების განხორციელების პერიოდს თითოეული მასწავლებლისთვის.

გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირებული მასწავლებლებისთვის, გრაფიკის დადგენას ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს, ასევე, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირებას.

გარე დაკვირვებაზე რეგისტრირებული მასწავლებელი, მისთვის განსაზღვრული პერიოდის დაწყებამდე, არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, ვალდებულია, ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს შესაბამის პერიოდში მიყოლებით ჩასატარებელი 5 გაკვეთილის გეგმა, რომელთაგან ერთ-ერთზე განხორციელდება გარე დაკვირვება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გათვალისწინებულ ვადაში არ წარადგენს გაკვეთილის გეგმასა და მოთხოვნილ დოკუმენტაციას, მის გაკვეთილზე არ განხორციელდება გარე დაკვირვება. მასწავლებელი ვალდებულია, გაკვეთილის ჩატარება დაგეგმოს რეგისტრაციის დროს მითითებულ საგანსა და კლასში. მასწავლებლისთვის გაკვეთილის ჩატარების განსაზღვრული პერიოდის ან მასწავლებლის მიერ წარდგენილი ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გარე დაკვირვების კომპონენტის პილოტირება, 2017 წელს, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში განახორციელა. პილოტირების რეჟიმში დარეგისტრირებული 105 მასწავლებლიდან გარე დაკვირვება 100-მა მასწავლებელმა გაიარა, რომელთაგან 86 დადებითად შეფასდა. 2018 წლის იანვარში, გარე დაკვირვების წარმატებით გავლის შედეგად, 42-მა მასწავლებელმა მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 44 მასწავლებელს სტატუსის მოსაპოვებლად, სასწავლო წლის დასრულებამდე, დარჩენილი აქვს 1 ან 2 კრედიტქულა დასაგროვებელი.

„პილოტირების პროცესმა წარმატებით ჩაიარა. ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეები, ცვლილების სახით, შეფასების ინსტრუმენტებსა და გარე დაკვირვების წესში აისახა. ეს ცვლილებები მიმართულია პროცესის მაქსიმალურად ღია და ობიექტური წარმართვისაკენ. ასევე, გარე დაკვირვების შესახებ ინფორმირების მიზნით, ცენტრის წარმომადგენლები, მთელი საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ უფროს მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს და რესურსცენტრის წარმომადგენლებს შეხვდებიან, რათა სასკოლო საზოგადოება დეტალურად გაეცნოს როგორც გარე დაკვირვების გავლის პროცედურებს, ისე შეფასების კრიტერიუმებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს“ – განაცხადა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **გიორგი მაჩაბელმა** სპეციალურ ბრიფინგზე.

ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი,** ჩვენთან საუბრისას, ამბობს, რომ პილოტირების პროცესი, თავისთავად, იმიტომ ხორციელდება, რომ გამოვლინდეს ხარვეზები და პროცესების ფართომასშტაბიანად დანერგვამდე, შესაძლებელი გახდეს მათი დაკორექტირება: *„პილოტირებამ გვიჩვენა რამდენიმე კომპონენტის ცვლილების აუცილებლობა. პირველი რუბრიკის შეცვლას ეხება, რაც გულისხმობს ცალკე, ერთ-ერთ კრიტერიუმად, მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის გამოყოფას.*

გარე დამკვირვებელთა ნაწილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თეორიული შესაძლებლობაც არ არსებობდა იმისა, რომ უარყოფითად შეფასებულიყო იმ მასწავლებლის გაკვეთილი, რომელმაც საგანი კარგად არ იცოდა – შეიძლება პედაგოგი სწავლების კარგ მეთოდებს ფლობდა, პოზიტიური გარემო იყო მის საკლასო ოთახში, მაგრამ, ამავდროულად, ბევრ შეცდომასაც უშვებდა საგნობრივი კომპეტენციის მიმართულებით, მიუხედავად ამისა, მისი გაკვეთილის ჩაგდება ძალიან რთული იქნებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ, რომ ერთ-ერთი სფერო მიმართული ყოფილიყო მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციაზე. შესაბამისად, დამტკიცდება რუბრიკა, რომელიც, ამავდროულად (შეიძლება გარე დაკვირვებასთან კავშირი არ აქვს), მასწავლებლების დიდი რაოდენობის ინტერესს წარმოადგენს. რუბრიკის დამტკიცების შემდეგ, ჩავატარებთ კონსულტირებას შეფასების ჯგუფებთან და ყველა სკოლას ვაცნობებთ, რომ სწორედ ამ შეცვლილი რუბრიკით უნდა ჩაატარონ შიდა საგაკვეთილო დაკვირვებებიც. თუმცა განვმარტავ იმასაც, რომ აქამდე ჩატარებული შიდა საგაკვეთილო დაკვირვებების შედეგები არ შეიცვლება.

მეორე ცვლილება გარე დამკვირვებლების რაოდენობას შეეხო. საპილოტე რეჟიმში გაკვეთილს ორი გარე დამკვირვებელი აფასებდა: ერთი – ცენტრის მიერ დაქირავებული გარე დამკვირვებელი, ხოლო მეორე – მეზობელი სკოლის ფასილიტატორი, რომელსაც, ასევე, ცენტრთან ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული და გაკვეთილს შეფასების უფლებით ესწრებოდა. ცვლილების შედეგად, გარე დამკვირვებელი იქნება მხოლოდ ერთი, ცენტრის მიერ დაქირავებული კვალიფიციური კადრი, რომელსაც საგაკვეთილო გამოცდილებაც აქვს, ამ მიმართულებით, სანდოა და მაღალი ავტორიტეტით გამოირჩევა. გარე დაკვირვება რომ ობიექტურად განხორციელდეს, ამისთვის გარე დამკვირვებელს სათანადოდ გადავამზადებთ. ამავე გაკვეთილზე დასწრების უფლება ექნება ადგილობრივი სკოლის ფასილიტატორს და რესურსცენტრის წარმომადგენელს, მაგრამ, როგორც გითხარით, ის შეფასებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სიახლეა ისიც, რომ, ობიექტურობის მეტად დასაცავად, დავუშვით აპელაცია. პილოტირების პროცესში მასწავლებელს უარყოფითი შედეგის გაპროტესტების უფლება არ ჰქონდა, რადგან რუბრიკაში ეს მექანიზმი არ იყო ჩადებული. ცვლილების შედეგად კი, მასწავლებელს მისთვის არასასურველი შედეგის გაპროტესტების შესაძლებლობა ეძლევა.

დამკვირვებელთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია სტრესულმა მდგომარეობამ, რომელსაც მასწავლებელი უცხო პირების გაკვეთილზე დასწრების შედეგად იღებდა. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი შედის გაკვეთილზე, მით მეტი სტრესია როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ვარჩიეთ, რომ ერთ ადამიანზე დაგვეყვანა გარე დამკვირვებლის რაოდენობა და მასწავლებლებისთვის აპელაციის საშუალებაც მიგვეცა.“

რეგისტრაცია, 19 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით, eschool-ის ელექტრონულ სისტემაში იწარმოებს.

წლევანდელი პოტენციური კანდიდატი 560 მასწავლებელია – 13 კრედიტის მქონე უფროსი მასწავლებელი და დოქტორის ხარისხის მქონე პირები, რომლებსაც უფლება აქვთ, გაიარონ გარე დაკვირვება.

ПРОФЕСИОНАЛ ГАНАВИТАРЕБА

ПРОФЕСИОНАЛ УНАРЕБИС ГАМОЦДИСТВИС МОСАМЗАДЕБЛАД ГТАВАЗОБТ ДАМХМАРЕ МАСАЛАС, РОМЕЛИЦ КИТХВА-ПАСУХИС ФОРМАТШИА МОМЗАДЕБУЛИ

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

MOTIVASIYA, KOMMUNIKASIYA, MÜNAQIŞƏLƏR

72. Sinifdə istənilən dərs ab-havasının yaradılması üçün müəllim hansı yanaşmanı tətbiq etməlidir?

Səhvlərlə bağlı: səhvlər insana təlimdə yardım edirlər. Hər kəsin səhv buraxmaq hüququ var və buna görə heç kim cəzalandırılmır.

Templə bağlı: hər şeyin dərhal başa düşülməsi və edilməsi vacib deyil. Cəhd göstərmə, vicdan, keyfiyyət, müşahidə kimi hallara daha çox diqqət verilir.

Yardımla bağlı: yaxşı şagirdlər də yardım istəyə, yerinə yetirilən iş prosesinə əlavə şərhlərin verilməsini tələb edə bilərlər.

Cəhd haqqında: davamlı cəhdlər və işin effektiv planlaşdırılması nailiyyətin ilkin şərti hesab edilir.

İmkanlar haqqında:yüksək akademik davamiyyəti hər kəs əldə edə bilər.

73. Müəllim üçün müsbət dərs mühitinin yaradılması üçün vacib komponentlər hansılardır?

✓ Sinifdə davranış qaydaları "oyun qaydaları" haqqında razılıq;

✓ şagirdlər üçün təlim prinsipləri və strategiyaların tədrisi;

✓ təlim üslubu və seçim hüququnun təklif edilməsi.

74. Şagirdlərə təlim prinsipləri və strategiyalarını necə öyrətməli/tanış etməliyik?

Yaxşı olardı ki, şagirdləri müəyyən təlim strategiyaları ilə elə tanış edək ki, onlardan müstəqil istifadə edə bilsinlər. Məsələn, koqnitik sxemi (Ven diaqramı, anlayış xəritəsi, səbəb-nəticə diaqramı, vaxt diaqramı və s.) və onun istifadəsi mərhələləri ilə tanışlıqla şagirdlər arasında müstəqil təlim, planlaşdırma, üstünlüklərin adlandırılması və məsuliyyət vərdiş-bacarıqları inkişaf edəcəkdir.

75. **Şagirdlərə dərs prinsiplərini və strategiyalarını nə üçün öyrətməliyik/tanış etməliyik?**

Şagirdlər artıq strategiyaların müəyyən ehtiyatına malik olduqlarından və onlardan müstəqil istifadə etdiklərində onlar çox vaxta qənaət edə biləcəklər. Sonra müəllim sadəcə göstərəcəkdir:

✓ bu və ya digər fəslin üzərində işləyirik…. Bu və ya digər strategiyadan istifadə edirik;

✓ Evə tapşırıq verilir ki, bu və ya digərindən istifadə edəsiniz/bu və ya digər təfəkkür sxemini doldurasınız.

76. **Şagirdin təlimi üçün müəllimin tələblərinin hansı əhəmiyyəti vardır?**

Tələbatlar gerçəkdən yüksəkdirsə, aydın şəkildə formalaşdırılmış və konkretdirsə, o zaman şagird maksimal sərf olunur və əksinə, aşağı tələbin əks olunduğu halda, şagirdin məhsuldarlığı az olur, ətalətli və passiv olur.

77. **Müəllim açıq, aydın tələblərin istifadəsinin hansı əməli üsullarından istifadə edir?**

✓ Şagirdlərin diqqətini səfərbər etdikdən sonra tələbin şifahi formalaşdırılması;

✓ pillələrə bölünmüş, ardıcıl və ətraflı məlumatın yazılı yolla ötürülməsi;

✓ məlumatın nümayiş etdirilməsi, misalların göstərilməsi yolu ilə tələbin mahiyyətinin konkretləşdirilməsi;

✓ müəllimin səs tembrinin, əməllərinin və jestikulyasiyanın vasitəsilə tələb üçün tələb edilən, sarsılmaz tonallığın verilməsi və müəllimin davamlı münasibətinin təsbih edilməsi;

✓ tələbin tez-tez, mütəmadi təkrarlanması.

78. Münaqişə nədir?

Münaqişə iki və ya daha çox tərəfin (şəxsiyyətin və ya qrupun) arasında qarşılıqlı yanaşmasıdır ki, bunların da bir-birinə uyğun olan məqsədləri vardır və ya düşünürlər ki, vardır.

79. Münaqişənin növlərini sadalayın.

Münaqişənin bir neçə növü vardır:

✓ məlumatlı;

✓ münasibətlə əlaqədar;

✓ dəyərlərlə bağlı;

✓ maraqlarla bağlı;

✓ strukturlarla bağlı.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

მოტივაცია, კომუნიკაცია, კონფლიქტები

72. რა დამოკიდებულება უნდა დანერგოს მასწავლებელმა კლასში სასურველი სასწავლო ატმოსფეროს შესაქმნელად?

შეცდომებთან დაკავშირებით: შეცდომები ეხმარება ადამიანს სწავლაში. ყველას აქვს შეცდომის დაშვების უფლება და არავინ ისჯება ამის გამო.

ტემპთან დაკავშირებით: არ არის აუცილებელი ყველაფრის უცებ გაგება და გაკეთება. მცდელობა, კეთილსინდისიერება, ხარისხი, დაკვირვება არის ის, რასაც ყველაზე დიდ ყურადღებას ვაქცევ.

დახმარებასთან დაკავშირებით: კარგ მოსწავლეებსაც შეუძლიათ, ითხოვონ დახმარება, შესრულებული სამუშაოს/მუშაობის პროცესის დამატებით კომენტირება.

მცდელობის შესახებ: სისტემატური მცდელობა და სამუშაოს ეფექტიანი დაგეგმვა წარმატების საწინდარია.

შესაძლებლობების შესახებ: მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა ყველას შეუძლია.

73. რა არის მასწავლებლისთვის დადებითი სასწავლო ატმოსფეროს შექმნისთვის აუცილებელი კომპონენტები?

✓ შეთანხმება კლასში ქცევის წესების, „თამაშის წესების" შესახებ;

✓ მოსწავლეთათვის სწავლის პრინციპებისა და სტრატეგიების სწავლება;

✓ სწავლის სტილისა და არჩევანის უფლების შეთავაზება.

74. როგორ უნდა ვასწავლოთ/გავაცნოთ მოსწავლეებს სწავლის პრინციპები და სტრატეგიები?

სასურველია, რომ მოსწავლეებს სწავლის გარკვეული სტრატეგიები ისე გავაცნოთ, რომ დამოუკიდებლად შესძლონ მათი გამოყენება. მაგალითად, კოგნიტური სქემების (ვენის დიაგრამა, ცნების რუკა, მიზეზ-შედეგობრივი დიაგრამა, დროის დიაგრამა და ა.შ.) და მისი გამოყენების ეტაპების გაცნობით მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლის, დაგეგმვის, პრიორიტეტების დასახვის და პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევები.

75. რატომ უნდა ვასწავლოთ/გავაცნოთ მოსწავლეებს სწავლის პრინციპები და სტრატეგიები?

მას შემდეგ კი, როცა მოსწავლეებს უკვე ექნებათ სტრატეგიათა გარკვეული მარაგი და დამოუკიდებლად შეძლებენ მათ გამოყენებას, დიდი დროის დაზოგვა გახდება შესაძლებელი. შემდეგ მასწავლებელი უბრალოდ მიუთითებს:

✓ ვმუშაობთ ამა და ამ თავზე.... ვიყენებთ ამა და ამ სტრატეგიას;

✓ სახლში დავალებად გეძლევათ, რომ მოიფიქროთ ესა და ეს და გამოიყენოთ/შეავსოთ ესა და ეს სააზროვნო სქემა.

76. რა მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის მოთხოვნებს მოსწავლის სწავლისათვის?

თუ მოთხოვნები რეალისტურად მაღალი, ნათლად ჩამოყალიბებული და კონკრეტულია, მოსწავლე მაქსიმალურად იხარჯება და, პირიქით, დაბალი მოთხოვნების დასახვის შემთხვევაში, მოსწავლე ნაკლებად პროდუქტიული, ინერტული და პასიური ხდება.

77. მკაფიო, ნათელი და გასაგები მოთხოვნების გამოყენების რა პრაქტიკულ ხერხებს იყენებს მასწავლებელი?

✓ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზების შემდეგ მოთხოვნის სიტყვიერად ჩამოყალიბება;

✓ საფეხურებად დანაწევრებული, თანმიმდევრული და დეტალური ინფორმაციის წერილობითი გზით გადაცემა;

✓ ინფორმაციის დემონსტრირების, მაგალითების ჩვენების გზით მოთხოვნის არსის დაკონკრეტება;

✓ მასწავლებლის ხმის ტემბრის, მოქმედებების და ჟესტიკულაციის მეშვეობით მოთხოვნისათვის მომთხოვნი, შეუვალი ტონალობის მინიჭება და თავად პედაგოგის თანმიმდევრული დამოკიდებულების დაფიქსირება;

✓ მოთხოვნის ხშირ-ხშირად, სისტემატურად გამეორება.

78. რა არის კონფლიქტი?

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებასა ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ ურთიერთშეუთავსებელი მიზნები.

79. ჩამოთვალეთ კონფლიქტის ტიპები?

არსებობს კონფლიქტის რამდენიმე ტიპი:

✓ ინფორმაციული;

✓ ურთიერთობასთან დაკავშირებული;

✓ ფასეულობებთან დაკავშირებული;

✓ ინტერესებთან დაკავშირებული;

✓ სტრუქტურებთან დაკავშირებული.

80. კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზმა, როგორია კონფლიქტის განვითარების ეტაპები?

კონფლიქტის განვითარების გზა ძალიან ჰგავს ქარბორბალას. მისი განვითარების გზა ეტაპობრივია:

I ეტაპი: „საწყისი ფორმა" – კონფლიქტის საწყისი ეტაპია. თუ აქ არ მოხდა ჩარევა და კონფლიქტის მოგვარება,

Կարևոր հարցեր պատասխաններով

ՄՈՏԻՎԱՑԻԱ, ՀԱՂՈՐԴԱԿՑՈՒԹՅՈՒՆ, ՀԱԿԱՄԱՐՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

72. Ի՞նչ վերաբերմունք պետք է արմատավորի ուսուցիչը դասարանում ցանկալի ուսումնական մթնոլորտի ստեղծման համար:

Սխալների հետ կապված. սխալները մարդուն օգնում են սովորելու մեջ: Բոլորն ունեն սխալ անելու իրավունք, և ոչ ոք չի պատժվում դրա պատճառով:

Տեմպի հետ կապված՝ պարտադիր չէ ամեն ինչ միանգամից հասկանալ և անել: Փորձը, բերեխղճությունը, որակը, դիտարկումը այն է, ինչին մենք բոլորս մեծ ուշադրություն ենք դարձնում:

Օգնության հետ կապված՝ լավ աշակերտները նույնպես կարող են խնդրել օգնություն, կատարված աշխատանքի/աշխատանքի գործընթացի լրացուցիչ մեկնաբանում:

Փորձի մասին. սիստեմատիկ փորձը և աշխատանքի արդյունավետ պլանավորումը հաջողության գրավականն են: **Հնարավորությունների մասին**. բոլորը կարող են հասնել բարձր ակադեմիական առաջադիմության:

73. Որո՞նք են ուսուցչի համար դրական ուսումնական մթնոլորտի ստեղծման համար անհրաժեշտ բաղադրիչները:

✓ համաձայնություն դասարանում վարքի կանոնների, «խաղի կանոնների» մասին,

✓ աշակերտներին ուսուցանել սովորելու սկզբունքները և ռազմավարությունները,

✓ առաջարկել ուսանման ոճ և ընտրության իրավունք:

74. Ինչպե՞ս պետք է սովորեցնենք/ աշակերտներին սովորելու սկզբունքները և ռազմավարությունները:

Ցանկալի է, աշակերտներին ուսանման որոշակի ռազմավարություններ այնպես ծանոթացնենք, որ նրանք կարողանան դրանք ինքնուրույն օգտագործել: Օրինակ, ճանաչողական սխեմաների (Վենի դիագրամ, հասկացությունների քարտեզ, պատճառա-հետևանքային դիագրամ, ժամանակի դիագրամ և այլն) և դրանց կիրառության փուլերի ծանոթացմամբ կզարգանան աշակերտների սովորելու, պլանավորելու, առաջնահերթությունների նախանշման և պատասխանատվության հմտություններն ու կարողությունները:

75. Աշակերտներին ինչո՞ւ պետք է սովորեցնենք/ծանոթացնենք ուսանման սկզբունքներն ու ռազմավարությունները:

Իսկ նրանից հետո, երբ աշակերտներն արդեն կունենան ռազմավարությունների որոշակի պաշար և կկարողանան դրանք ինքնուրույն կիրառել, հնարավոր կլինի մեծ ժամանակ տնտեսել: Այնուհետև ուսուցիչն ուղղակի ցուցում է տալիս.

✓ Աշխատում ենք այս կամ այն գլխի վրա .... Կիրառում ենք այս կամ այն ռազմավարությունը:

✓ Տանը առաջադրանք է տրվում, որ մտածեք սա և սա ու լրացնեք այս կամ այն մտածողական սխեման ...

76. Ի՞նչ նշանակություն ունեն ուսուցչի պահանջներն աշակերտի սովորելու համար:

Եթե պահանջներն իրատեսորեն բարձ, հստակ ձևակերպված և կոնկրետ են, աշակերտն առավելագույնս ջանում է, իսկ ցածր պահանջներ նախանշելու դեպքում, ընդհակառակը, աշակերտը պակաս արտադրողական, ինտերտ և պասիվ է դառնում:

77. Հստակ, պարզ և հասկանալի պահանջների օգտագործման ի՞նչ գործնական միջոցներ է կիրառում ուսուցիչը:

✓ աշակերտների ուշադրության մոբիլիզացումից հետո պահանջի բառացի ձևակերպում,

✓ մակարդակների բաժանած, հաջորդական և մանրամասն տեղեկությունների գրավոր ձևով փոխանցում,

✓ տեղեկությունների ցուցադրման, օրինակներ ցույց տալու միջոցով պահանջի էության կոնկրետացում,

✓ ուսուցչի ձայնի տեմբրի, գործողությունների և ժեստերի միջոցով պահանջին պահանջող, անդառնալի հնչերանգի շնորհում և իր՝ մանկավարժի, հետևողական վերաբերմունքի արձանագրում,

✓ պահանջի հաճախակի, սիստեմատիկ կերպով կրկնում:

78. Ի՞նչ է հակամարտությունը:

Հակամարտությունը փոխհարաբերություն է երկու կամ ավելի կողմերի (անհատի կամ խմբի) միջև, որոնք ունեն, կամ մտածում են, որ ունեն, փոխադարձաբար չհամընկնող նպատակներ:

79. Թվարկե՛ք հակամարտության տեսակները:

Գոյություն ունի հակամարտության մի քանի տեսակ.

პროფესიული განვითარება

80. Münaqişəni müxtəlif səbəblər yarada bilərlər. Münaqişənin inkişafının mərhələləri hansılardır?
Münaqişənin inkişafı yolu qasırğaya daha çox bənzəyir. Onun inkişafı yolu mərhələlərlə baş verir:
I mərhələ: "ilkin forma" – münaqişənin ilkin mərhələsidir. Müdaxilə və münaqişənin həlli baş vermədiyində, onun gücü artır.
II mərhələ: "problemlərin çoxalması" – bu zaman yeni problemlər əlavə edilir. İlkin formanın problemi təhlil edilmədiyində və sonra qalanları araşdırılmadığında, münaqişə üçüncü mərhələyə keçid alır.
III mərhələ: "düşmən ittifaqları" – münaqişəyə cəlb olunan insanlar münaqişəyə başqa insanları (dostları, qohumları) cəlb edirlər. Alyansda birləşən insanlar çalışırlar ki, münaqişə tərəfini qorusunlar. Bu mərhələdə danışıqlar baş vermədiyində, münaqişə növbəti mərhələyə keçid alır.
IV mərhələ: "kommunikasiyanın şəklinin dəyişdirilməsi". Bu mərhələdə bir-birini təhqir etmək çox tez-tez baş verir. Amma bu halda da müdaxilə etmək və münaqişənin dayandırılması saxlanılmasıdır. Bunun baş vermədiyi halda, növbəti mərhələ başlayır:
V mərhələ: "kəskin mövqelər" – opponent düşmən kimi elan edilir.

81. Məktəb münaqişələrində neçə növ ayrılır?
Məktəb münaqişələrinin 10 növünü ayırırlar: şagird-şagird; şagird-müəllim; şagird-valideyn; şagird – administrator; müəllim-müəllim; müəllim-valideyn; müəllim-administrator; valideyn-valideyn; valideyn-administrator; administrator-administrator.

82.Məktəb münaqişəsinin səbəbi nə ola bilər?
✓ Təlim-tərbiyə prosesi (məktəbin daxili nizamnaməsi, saat toru, sinifdə şagirdlərin çoxlu sayı və s.);
✓ ünsiyyətin aşağı mədəniyyəti;
✓ yaş xüsusiyyətləri;
✓ fərdilik (fərqli cinsiyyət, davranışın özünəməxsusluğu, ailə vəziyyəti, dini özünəməxsusiyyətlər);
✓ bilik və davranışın qeyri-obyektiv qiymətləndirilməsi.

83. Mediasiya nədir?
Mediasiya elə bir prosesdir ki, bu zaman üçüncü, neytral tərəf iki insanın və ya insanlar qrupuna yardım edir, danışıqlar yolu ilə qarşılıqlı qəbul edilən razılığı əldə edirlər.

84. Mediator kimdir?
Mediator şəxsdir ki, qarşılıqlı tərəflərə yardım etmək üçün müxtəlif vasitələrə müraciət edir, amma onların əvəzinə heç vaxt qərar qəbul etmir.

85. Mediasiya hansı mərhələlərdən ibarətdir?
Mediasiya "köməkçi" müdaxilə kimi təhlil edilir. Onun məqsədi problemin həllidir. Mediasiya prosesi altı mərhələyə bölünür:

I mərhələ:	**prosesin izahatı** – bu mərhələdə xoş əhval-ruhiyyəli ab-havanın yaradılması, prosedurların və qaydaların izahatı, gözləntilərin təhlili baş verir.
II mərhələ:	**problemin təyinatı** – tərəflərə imkan verilir ki, münaqişənin öz nəzərini təqdim etsinlər. Mediator problemləri dəqiqləşdirir.
III mərhələ:	**mübadilə** – problemlərin təsirinin qarşı tərəflərə göstərilməsi, yerini dəyişməsi və gələcəyə diqqəti cəmləşdirmə.
IV mərhələ:	**alternativlərin yaradılması** – obyektiv kriterilərin vasitəsilə imkanların təyinatı və alternativlərin işlənib hazırlanması.
V mərhələ:	**razılıq** – münaqişənin həlli üçün hazırlıq, razılığın xırdalıqlarının təsbih edilməsi, gələcək anlaşılmazlıq ehtimalının azaldılması.
VI mərhələ:	**prosesin bağlanılması** – tərəflərin səyinin tanınması, minnətdarlığın ifadə edilməsi, mediasiya nəticələrinin icmalı.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

მისი ძალა მატულობს.

II ეტაპი: „პრობლემების გამრავლება" – ამ დროს ხდება ახალი პრობლემების დამატება. თუ არ მოხდა საწყისის პრობლემის განხილვა და და შემდეგ დანარჩენების გარკვევა, კონფლიქტი გადადის მესამე ეტაპზე.

III ეტაპი: „მტრული ალიანსები" – კონფლიქტში ჩართული ადამიანები კონფლიქტში რთავენ სხვა ადამიანებს (მეგობრებს, ნათესავებს). ალიანსში გაერთიანებული ადამიანები ცდილობენ, დაიცვან კონფლიქტის მხარე. თუ ამ ეტაპზე არ მოხდა მოლაპარაკება, კონფლიქტი გადადის შემდეგ ეტაპზე.

IV ეტაპი: „კომუნიკაციის დამახინჯება". ამ ეტაპზე ძალიან ხშირია ერთმანეთის შეურაცხყოფა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩარევა და კონფლიქტის შეჩერება. თუ ეს არ მოხდა, იწყება შემდეგი ეტაპი:

V ეტაპი: „უკიდურესი პოზიციები" – ოპონენტი გამოცხადებულია მტრად.

81. სასკოლო კონფლიქტებში რამდენი სახე გამოიყოფა?

გამოყოფენ სასკოლო კონფლიქტების 10 სახეს: მოსწავლე-მოსწავლე; მოსწავლე-მასწავლებელი; მოსწავლე-მშობელი; მოსწავლე-ადმინისტრატორი; მასწავლებელი-მასწავლებელი; მასწავლებელი-მშობელი; მასწავლებელი-ადმინისტრატორი; მშობელი-მშობელი; მშობელი-ადმინისტრატორი; ადმინისტრატორი-ადმინისტრატორი.

82. რა შეიძლება იყოს სასკოლო კონფლიქტის მიზეზი?
✓ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი (სკოლის შინაგანაწესი, საათობრივი ბადე, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა და ა.შ);
✓ ურთიერთობების დაბალი კულტურა;
✓ ასაკობრივი თავისებურებები;
✓ ინდივიდუალობა (განსხვავებული სქესი, ქცევის თავისებურება, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიური თავისებურებები);
✓ ცოდნისა და ქცევის არაობიექტური შეფასება.

83. რა არის მედიაცია?

მედიაცია არის პროცესი, როდესაც მესამე, ნეიტრალური მხარე, ორ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ეხმარება, მოლაპარაკების გზით ურთიერთმისაღებ შეთანხმებას მიაღწიონ.

84. ვინ არის მედიატორი?

მედიატორი არის პირი, რომელიც დაპირისპირებული მხარეების დასახმარებლად სხვადასხვა საშუალებას მიმართავს, მაგრამ იგი მათ მაგიერ არასდროს იღებს გადაწყვეტილებას.

85. რა ეტაპებისაგან შედგება მედიაცია?

მედიაცია განიხილება, როგორც „დამხმარე" ჩარევა. მისი მიზანი პრობლემის მოგვარებაა. მედიაციის პროცესი იყოფა ექვს ეტაპად:

I ეტაპი:	**პროცესის გახსნა –** ამ ეტაპზე ხდება კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა, პროცედურების და წესების ახსნა, მოლოდინების განხილვა.
II ეტაპი:	**პრობლემის დადგენა –** მხარეებს ეძლევათ საშუალება, კონფლიქტის საკუთარი ხედვა წარმოადგინონ. მედიატორი აზუსტებს პრობლემებს.
III ეტაპი:	**გაცვლა –** ხდება პრობლემების ზემოქმედების ჩვენება საპირისპირო მხარეებზე, გადანაცვლება და მომავალზე ფოკუსირება.
IV ეტაპი:	**ალტერნატივების შექმნა –** ობიექტური კრიტერიუმების მეშვეობით შესაძლებლობების დადგენა და ალტერნატივების შემუშავება.
V ეტაპი:	**შეთანხმება –** კონფლიქტის მოგვარებისათვის მზაობა, შეთანხმების დეტალების დაფიქსირება, მომავალი გაუგებრობების ალბათობის შემცირება.
VI ეტაპი:	**პროცესის დახურვა –** მხარეთა ძალისხმევის აღიარება, მადლიერების გამოხატვა, მედიაციის შედეგების მიმოხილვა.

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან" თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

✓ տեղեկատվական,
✓ փոխհարաբերությունների հետ կապված,
✓ արժեքների հետ կապված,
✓ շահերի հետ կապված,
✓ կառուցվածքների հետ կապված:

80. Հակամարտություն կարող են առաջացնել տարբեր պատճառները: Ինչպիսի՞ն են հակամարտության զարգացման փուլերը:
Հակամարտության զարգացման ուղին շատ է նման մրրկահողմի: Նրա զարգացման ուղին փուլերով է.
I փուլ.՝ «սկզբնական ձևը» հակամարտության սկզբնական փուլն է: Եթե այստեղ տեղի չունենա միջամտություն և հակամարտության կարգավորում, նրա ուժը կավելանա:
II փուլ ՝ «խնդիրների բազմացում»՝ այս ժամանակ տեղի է ունենում խնդիրների ավելացում: Եթե տեղի չունենա սկզբնական խնդրի քննարկում և այնուհետև մասացածների պարզաբանում, հակամարտությունն անցնում է երրորդ փուլ:
III փուլ. «թշնամական խմբակցություններ»՝ համակամարտության մեջ ներգրավված մարդիկ ներգրավում են այլ մարդկանց (ընկերների, բարեկամների): Խմբակցության մեջ միավորված մարդիկ փորձում են պաշտպանել հակամարտության կողմին: Եթե այս փուլում տեղի չունենա բանակցություն, հակամարտությունն անցնում է հաջորդ փուլ:
IV փուլ. «հաղորդակցության այլանդակում»: Այս փուլում շատ հաճախ է միմյանց անարգանք հասցվում, սակայն այս դեպքում էլ կարելի է միջամտել և հակամարտությունը դադարեցնել: Եթե դա տեղի չունենա, սկսվում է հաջորդ փուլը:
V փուլ «ծայրահեղ դիրքորոշումներ»՝ ընդդիմախոսը հայտարարված է թշնամի:

81. Դպրոցական հակամարտությունների քանի՞ տեսակ է առանձնացվում:
Առանձնացնում են դպրոցական հակամարտությունների 10 տեսակ. աշակերտ –աշակերտ, աշակերտ –ուսուցիչ, աշակերտ –ծնող, աշակերտ –վարչության ներկայացուցիչ, ուսուցիչ-ուսուցիչ, ուսուցիչ-ծնող, ուսուցիչ-վարչության ներկայացուցիչ, ծնող –ծնող, ծնող - վարչության ներկայացուցիչ, վարչության ներկայացուցիչ-վարչության ներկայացուցիչ:

82. Ի՞նչը կարող է լինել դպրոցական հակամարտության պատճառ:
✓ ուսումնադաստիարակչական գործընթացը (դպրոցի ներքին կանոնակարգը, ժամային ցանցը, դասարանում աշակերտների մեծ թիվը և այլն),
✓ հարաբերությունների ցածր մշակույթը,
✓ տարիքային առանձնահատկությունները,
✓ անհատականությունը (տարբեր սեռ, վարքի յուրահատկություն, ընտանեկան վիճակ, կրոնական առանձնահատկություններ),
✓ գիտելիքի և վարքի ոչ օբյեկտիվ գնահատում:

83. Ի՞նչ է միջնորդությունը:
Միջնորդությունը գործընթաց է, երբ երրորդ՝ չեզոք, կողմը, երկու մարդու կամ մարդկանց խմբի օգնում է բանակցությունների ճանապարհով հասնել փոխադարձաբար ընդունելի համաձայնության:

84. Ո՞վ է միջնորդը:
Միջնորդն անձ է, ով դիմակայող կողմերին օգնելու համար տարբեր միջոցների է դիմում, սակայն նա երբեք նրանց փոխարեն որոշում չի կայացնում:

85. Ի՞նչ փուլերից է բաղկացած միջնորդությունը:
Միջնորդությունը քննարկվում է որպես «օժանդակ» միջամտություն: Դրա նպատակը հակամարտության կարգավորումն է: Միջնորդության գործընթացը բաժանվում է վեց փուլի.

I փուլ.	**գործընթացի բացում՝** այս փուլում տեղի է ունենում բարյացակամ մթնոլորտի ստեղծում, ընթացակարգերի և կանոնների բացատրում, սպասումների քննարկում:
II փուլ.	**խնդիրների որոշում՝** կողմերին հնարավորություն է տրվում ներկայացնել հակամարտության սեփական տեսլականը: Միջնորդը ճշգրտում է խնդիրները:
III փուլ.	**փոխանակում՝** տեղի է ունենում հիմնախնդրի ներգործության ցուցադրում հակադիր կողմերի վրա, տեղափոխում և կենտրոնացում ապագայի վրա:
IV փուլ.	**այլընտրանքների ստեղծում՝** օբյեկտիվ չափանիշների միջոցով հնարավորությունների որոշում և այլընտրանքների մշակում:
V փուլ.	**համաձայնություն՝** պատրաստակամություն հակամարտության կարգավորման համար, համաձայնության մանրամասների արձանագրում, ապագա թյուրիմացությունների հավանականության նվազեցում:
VI փուլ.	**գործընթացի փակում՝** կողմերի ջանքերի ճանաչում, երախտագիտության արտահայտում, միջնորդության արդյունքների վերլուծում:

Թարգմանությունը՝ **Զոյա Մխիթարյանի**

უმაღლესი განათლება

ავტორიზაციას შეწირული უნივერსიტეტების შეუსრულებელი მისია

მაკა ყიფიანი

საქართველოში განახლდა უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის პროცესი. 2018 წელს უმაღლეს სასწავლებლებს, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG – 2015) თავსებადი, ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით მოუწევთ ავტორიზაციის გავლა. დღესდღეობით საქართველოში 72 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

შეგახსენებთ, რომ ავტორიზაციის პროცესი საქართველოში 2010 წლიდან დაიწყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამი სტანდარის მიხედვით ფასდებოდნენ, ეს სტანდარტები იყო: **საგანმანათლებლო პროგრამები; მატერიალური რესურსი; ადამიანური რესურსი.** 2017 წელს გადაწყდა, რომ შეცვლილიყო ავტორიზაციის სტანდარტები, ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა და დღეისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, 7 სტანდარტი გვაქვს: **ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურადა მართვა; გ) საგანმანათლებლო პროგრამები; დ) უმაღლესი საგანმანათლებლო პერსონალი; ე) სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები; ვ) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; ზ) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.** ეს არის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აუცილებლად მოუწევთ. *„რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ახალი სტანდარტები, ძველი სტანდარტებისგან განსხვავებით, უფრო სრულყოფილად, კომპლექსურად და სიღრმისეულად აფასებენ დაწესებულებას, ინსტიტუციას. განახლებული სტანდარტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დაწესებულების მისიაზე და სტრატეგიულ განვითარებაზე, ადმინისტრაციული, აკადემიური, მონაწეული და სამეცნიერო პერსონალის მართვის პოლიტიკაზე, მათ კვალიფიკაციასა და დატვირთვის სქემებზე, ასევე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე. განახლებული სტანდარტებით სრულყოფილად შეფასდება დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. მმართველი რგოლი, რამდენად უზრუნველყოფს ის, რომ უმაღლესმა დაწესებულებამ მიაღწიოს დასახულ მიზნებს, შეასრულოს საკუთარი მისია, ასევე სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. დღეს, ავტორიზაციის ექსპერტი უფრო სიღრმისეულად ჩაიხედავს სტრატეგიულ გეგმაში, რამდენად რეალურია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, რამდენად ეფუძნება ორივე დოკუმენტი დაწესებულების რესურსებს და რამდენად განვითარებაზეა ორიენტირებული.“* – აცხადებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ლაშა მარგიშვილი.**

აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ტარდება ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომელთაც 2018 წელს განახლებული სტანდარტებით უწევთ ავტორიზაციის გავლა.

* * *

რამდენიმე დღის წინ, თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ და თბილისის სასწავლო აკადემიას ავტორიზაცია გაუუქმდათ. ამ ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ავტორიზაციის კუთხით. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული დაწესებულებები მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდნენ ძველი, მინიმალური, სამი სტანდარტის – საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი – მიხედვით.

ამ სასწავლებლებში სწორედ ეს მინიმალური სტანდარტები იყო უხეშად დარღვეული. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2018 წლის 15 თებერვალს გამართულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატესა“ და შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, ამ სასწავლებლებში დარღვევები დაფიქსირდა როგორც სასწავლო პროცესის, ისე სწავლების ხარისხის მიმართულებით. კერძოდ, ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დარღვეულია სტანდარტის თითქმის ყველა მოთხოვნა: *„დაფიქსირებული დარღვევები პირდაპირ დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და ხარისხთან. უფრო კონკრეტულად, ხარვეზები ეხება საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც თითქმის არ მიმდინარეობდა, საბიბლიოთეკო რესურსები დასაწყობებულ მდგომარეობაშია და რესურსების გამოყენების ფაქტები შესაბამისად არ ფიქსირდება. არ ფიქსირდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობის სათანადო ბაზები. კლინიკური უნარ-ჩვევების გარკვეულ ნაწილს სტუდენტები ერთმანეთზე სწავლობენ. გარდა საგანმანათლებლო ნაწილისა, სერიოზული პრობლემებია ადმინისტრაციის, ფინანსებისა და ორგანიზაციული მოწყობის ნაწილში, რომელიც მთლიანად შეუსაბამოა საგანმანათლებლო მიზნებისთვის.“* – ნათქვამია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განცხადებაში.

სტუდენტთა ინტერესის გათვალისწინებით, ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებას მხოლოდ იმ დაწესებულების სტუდენტებისათვის, რომელთაც ავტორიზაცია გაუუქმდათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **მიხეილ ჩხენკელის** განცხადებით, სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ და „თბილისის საერთაშორისო აკადემიის“ სტუდენტები, მობილობის წესით, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადანაწილდებიან. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა. *„სტუდენტებს საშუალება ექნებათ, სწავლა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ. კონკრეტული დეტალები ხარისხის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. სახელმწიფომ სიმართლე უნდა უთხრას ყველა ოჯახს, ყველა სტუდენტს და ეს სიმართლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლები არიან ისინი, ვისაც აქვს მაღალი აკადემიური ხარისხი,“* – აცხადებს მინისტრი.

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ რექტორი, პროფესორი **დავით კიტეიშვილი** ამბობს, რომ როცა უნივერსიტეტში მონიტორინგის სამსახური შევიდა, მათ აუხსნეს არსებული მდგომარეობა – სასწავლებელი ავტორიზაციის რეჟიმში იმყოფებოდა და თებერვლის ბოლოს უწევდათ გავლა, მიუხედავად, ამისა, მათი თხოვნა არავინ გაითვალისწინა და ავტორიზაცია ჩამოერთვათ. რექტორი ამბობს, რომ უნივერსიტეტს განვითარების საშუალება არ მისცეს. ბატონი დავითი იმ ხარვეზებზეც საუბრობს, რომლის გამოსწორებასაც უნივერსიტეტი უახლოეს პერიოდში შეძლებდა და 15-წლიანი უმაღლესი სასწავლებელი ასე ერთი ხელის მოსმით არსებობას არ შეწყვეტდა:

„ჩვენი უნივერსიტეტი 15 წლის წინ დაარსდა და, დღეისათვის, აქ 437 სტუდენტი სწავლობს. მოგეხსენებათ, ვიყავით ავტორიზაციის რეჟიმში და ვემზადებოდით, თანდათანობითი მეთოდით, დაგვეკმაყოფილებინა სტანდარტის ნებისმიერი პუნქტი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაადგინა. როცა ჩვენთან მონიტორინგის სამსახური შემოვიდა (მათი პროგრატივაა როდის შემოვლენ), გარკვეული პუნქტების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ მოუმზადებლები დავხვდით. ის, რაც ჩვენს უნივერსიტეტს ნამდვილად ჰქონდა და აქვს, არის სწავლების მაღალი ხარისხი და სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორია, კლინიკური ბაზები და სხვ.

სტუდენტებს ვთავაზობთ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამას; დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან, ჯანდაცვისა და ფარმაციის ბაკალავრიატს და მაგისტრატურას. გვაქვს კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, ვილნიუსისა და ლვოვის უნივერსიტეტებთან, ასევე, რუსულენოვანი სტუდენტებისათვის – მოსკოვის სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო უნივერსიტეტთან. ამ ურთიერთობების გაფართოებას ვაპირებდით, ვცდილობდით საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდით.

ჩვენი პრობლემა უდავოდ იყო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი, ადაპტირებული გარემოს მოწყობა. საქართველოში არსებული შენობების 80-90% ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს პრობლემა ბევრგან მოსაგვარებელია. რა თქმა უნდა, დაწყებული გვქონდა ამაზე მუშაობა და დავსახეთ გეგმები სამომავლოდ, ამ პრობლემის გადასაჭრელად.

მოგეხსენებათ, წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზეიმობს 100 წლისთავს. როგორ მიაღწევდა ის ამ ასაკს, თუკი მას 14-15 წლის ასაკში ჩაქოლავდნენ და წინსვლის საშუალებას არ მისცემდნენ. ეს ხომ განვითარების პროცესია, ჩვენთვის ამის დრო და შესაძლებლობა ნამდვილად უნდა მოეცათ.

რაც შეეხება ხარვეზებს, მართალია, გვქონდა, მაგრამ ისეთი, რომლის გამოსწორება, საბჭოს მიერ გონივრული ვადის მოცემის შემთხვევაში, შეუძლებელი ყოფილიყო – არა გვგონია. პრეტენზიები მათი მხრიდან, ძირითადად, მატერიალურ რესურსს ეხებოდა, პროგრამულში განსაკუთრებული არაფერი იყო; სილაბუსებში ხარვეზი არ გვქონია; კლინიკურ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებითაც იყო შენიშვნები, ახლახან შევიძინეთ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო სათანადო სიმულაციური ბაზა (როცა მონიტორინგი შემოვიდა, ევროპიდან ორი კვირის ჩამოტანილი გვქონდა), რომელიც არ იყო გაწყობილი. ამჟამად დამონტაჟებულია, თუმცა გამოცდის საშუალება არ მოგვეცა.

მათი გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი. ხარვეზების გამოსასწორებლად, როგორც აღვნიშნეთ, გონივრული ვადა უნდა მოეცათ, თუ ამ ვადის შემდეგ ვერ გამოვასწორებდით, რა თქმა უნდა, შესაბამის ზომებს მიმართავდნენ. მიღებული გადაწყვეტილება ნაადრევია. ვაპირებთ აპელაციას, მაგრამ ისმის კითხვა – აპელაციას ხომ დრო სჭირდება, ამ დროის განმავლობაში, სტუდენტები რომ სხვაგან წავლენ, მერე რა გავაკეთოთ?

გვინდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ვთხოვოთ, თუ მაინც და მაინც გასატარებელი იყო მკაცრი ზომები, გადაიხედოს არსებული გადაწყვეტილება და გაითვალისწინონ როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების თხოვნა, რადგან არ არის იოლი როგორც სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის შეცვლა, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამსახურის გარეშე დარჩენა. მოკლედ რომ გითხრათ, დაზარალდა უამრავი ადამიანი“.

უნივერსიტეტის ავტორიზაციის შეჩერებას სტუდენტებიც აპროტესტებენ და ამბობენ, რომ ამით მათი უფლებები ირღვევა, რადგან მობილობით სხვა უნივერსიტეტებში გადანაწილება გარვეულ სირთულეებს წარმოშობს. სტუდენტების ნაწილი, პირველ რიგში, ფინანსურ პრობლემას ხედავს, ნაწილი კი ამბობს, რომ ამდენ სტუდენტს სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ მიიღებს და კერძო უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა, გარკვეულ წილად, ისევ რისკის ქვეშ აყენებს მათ მომავალ სტუდენტობას. ფიქრობენ, რომ არ არსებობს იმის გარანტია, რომ სხვა უნივერსიტეტს არ შექმნება ანალოგიური პრობლემა.

ალექსანდრე ბერუაშვილი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის „ჰიპოკრატე“ სამკურნალო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: *„მოგეხსენებათ, ჩემს უნივერსიტეტს ავტორიზაცია გაუუქმდა, ვფიქრობ, ეს სამართლიანი გადაწყვეტილება არ იყო. სტუდენტები ძალიან დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია არაფერზე არ გვაქვს, მაგრამ, როგორც ვიცით, მობილობის საშუალებით შევძლებთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, თუმცა, საქმე არც ისე მარტივადაა. სტუდენტების უმეტესობას სურვილი აღარ აქვს კერძო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების, იქიდან გამომდინარე, რომ არ ვიცით ხვალ და ზეგ კიდევ რომელი კერძო უნივერსიტეტის ავტორიზაცია დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, ამავდროულად, სწავლის საფასური გაცილებით ძვირია, ვიდრე „ჰიპოკრატეში“. ამიტომ, სტუდენტები ვითხოვთ გადასვლას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. თუმცა, ვიცით, რომ მიღების ისეთი კრიტერიუმები აქვს, რომლებსაც ყველა სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს, ე.ი. სტუდენტების გარკვეული ნაწილი უნივერსიტეტს მიღმა დარჩება. ამ ყველაფერთან ერთად, რუსული სექტორის სტუდენტებს კიდევ დამატებითი პრობლემები ექმნებათ. არის კიდევ ერთი პრობლემა – კრედიტები, საინტერესოა, როგორ მოხდება კრედიტების აღიარება. განსხვავებული კრედიტების გამო, შესაძლოა, მთლიანი კურსის ან სემესტრის დაკარგვა მაინც მოგვიწიოს და ბუნებრივია, სხვა ყველაფერთან ერთად, ამ შემთხვევაშიც, ირღვევა სტუდენტების უფლებები. ჩვენი თხოვნაა, რაც შეიძება მალე გაგვარკვიონ, რას გვთავაზობენ და რა პრინციპით მოხდება სტუდენტების გადაყვანა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამავდროულად, ვითხოვთ, ჩვენი უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული.“*

შოთა გაწერელია, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის „ჰიპოკრატე“ მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი: *„ინფორმაცია, რომელიც ინტერნეტით გავრცელდა ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ, აბსურდულია. დასახელებული მიზეზები, თითქოს სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში არ მიმდინარეობდა, საბიბლიოთეკო რესურსები დასაწყობებულ მდგომარეობაში იყო და სხვა, სიმართლეს არ შეესაბამება.*

მე რა ინფორმაციაც მაქვს, ავტორიზაცია ჩემს უნივერსიტეტს იმიტომ ჩამოერთვა, რომ თითქოს არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. მაგალითად, დასახელებული იყო პანდუსების არარსებობა. როგორც ვიცი, უნივერსიტეტში მიმდინარეობდა პანდუსების დამონტაჟება. ამ ეტაპზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები სასწავლებელში არ სწავლობენ.

ავტორიზაციის ჩამორთმევის შემდეგ უნივერსიტეტი მილევად რეჟიმში უნდა გადავიდეს. თუ ჩვენ სასწავლებლად სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადავალთ, შეიძლება კრედიტები არ აღიარონ და მოგვიწევს კრედიტების თავიდან გავლა, რაც გამოიწვევს სემესტრისა და თანხების დამატებას. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლობენ რუსი და აზერბაიჯანელი სტუდენტები, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადასვლის შემთხვევაში, მათ სწავლის გაზრდილი საფასურის გადახდა მოუწევთ. ამით სტუდენტების უფლებები ირღვევა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და მისი მოადგილის თქმით, სტუდენტების უფლებები არ უნდა დაირღვეს. გვაინტერესებს, იქნება თუ არა ჩვენი უფლებები დაცული და რა მოიაზრება კონკრეტულად უფლებების არდარღვევაში.

ჩვენ არ გვინდა სხვა უნივერსიტეტი, ან სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადაგვიყვანონ, ან ამ უნივერსიტეტში მოგვცენ სწავლის დასრულების უფლება. თუ პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ან „გეომედში“ გადაგვიყვანენ, მაშინ სახელმწიფომ უნდა მოგვცეს იმის გარანტია, რომ რამდენიმე თვეში ამ უმაღლესების ავტორიზაციის გაუქმება არ მოხდება.“

მიმდინარე წლის 19 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ სტუდენტებთან და მათ მშობლებთან გამართულ საინფორმაციო შეხვედრზე აღინიშნა, რომ კანონის მიხედვით, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შემდეგ ყველა სტუდენტს უჩერდება სტატუსი 5 წლის ვადით და, ამ პერიოდის განმავლობაში, ისინი უფლებამოსილნი არიან, წელიწადში ორჯერ მიიღონ მონაწილეობა მობილობაში, მიუხედავად ამისა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უახლოეს პერიოდში, მხოლოდ ამ დაწესებულების სტუდენტებისთვის გახსნის მობილობის რიგგარეშე ფანჯარას, რისი მეშვეობითაც სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, სწავლა გააგრძელონ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სტუდენტებსა და მშობლებს ასევე განემარტათ, რომ აღნიშნული დაწესებულების სტუდენტები გათავისუფლებული იქნებიან მობილობის საფასურისგან. მობილობის ვადები და მობილობაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე.

ამ საკითხებზე შეხვედრები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მომავალშიც გაგრძელდება.

სასკოლო აქტივობა

დღეს ჩვენი სკოლის დაბადების დღეა

შვიდი წლის წინ

დრო კი არ მიდის, მიჰქრის!

გუშინდელივით მახსოვს ჩემი ჩამოსვლა ამ პრობლემებით სავსე სოფელში. შვიდი წელი გავიდა მას მერე. ეს დრო ზოგისთვის ალბათ უსაშველოდ გაწელილია, რადგან აქ ცხოვრება ადვილი არ არის. ყოველ ნაბიჯზე ჩამონგრეული კედლისა თუ ნასახლარის დანახვა არ იწვევს სასიამოვნო განცდას.

ჩემთვის კი, ნამდვილად წუთებივით გაფრენილი წლებია... ალბათ იმიტომ, რომ ვიცოდი რა მინდოდა, ვიცოდი რა მეკეთებინა, ვფიქრობდი ბავშვების სიხარულზე.

ამ ხნის მანძილზე სოფელში თითქოს ბევრიც არაფერი გაკეთებულა, საკუთარ ოჯახებსა და ფერმებში ჩაიკეტნენ, კომფორტი მოიწყვეს, მეურნეობა მაღალ დონეზე დაიყენეს, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ, მზრუნველი ხელი დაატყვეს.

რა შეიცვალა სკოლის ცხოვრებაში?

მე, ჩემი მოსწავლეებივით, პატივს ვცემ იმ მასწავლებლებს, რომლებიც, ჩემამდე თუ ახლა, სკოლის სიკეთეზე ფიქრობდნენ და იღვწიან. გულახდილი ვიქნები და ვიტყვი, რომ უცხო ენაში არასახარბიელო მდგომარეობა არ დამხვედრია, ინგლისური ენა უყვარდათ, ცოტაც იცოდნენ. ეს ჩემთვის სავსებით საკმარისი იყო მათთან ერთად თავაუღებლივ მეშრომა და გამეფართოვებინა მათი ცოდნა ამ საგანში.

ახალი სახელმძღვანელოს „English world“ შემოტანა სკოლაში არ იყო ადვილი. სამუშაო კვირის ბოლოს ყველაზე მეტად დასვენება მჭირდებოდა, მე კი თბილისის ერთი წიგნის მაღაზიიდან მეორეში გავრბოდი, ვეძებდი I, II თუ III დონის სახელმძღვანელოს. ვცდილობდი, ყველა მოსწავლეს დროულად ჰქონოდა ის. მადლობა განათლების სამინისტროს – სახელმძღვანელო უფასო გახდა და თანაც სკოლაში გვიგზავნიან. მეშველა! შვებით ამოვისუნთქე.

მთიელი ბავშვები გამორჩეულად ხალისიანები და სიცოცხლით სავსენი არიან, აინტერესებთ სიახლეები. მეც ვცდილობდი წინა წლების გამოცდილება მომერგო მათი ინტერესებისთვის, სწავლების პროცესი უფრო ხალისიანი გამეხადა სიმღერებითა და სპექტაკლებით ინგლისურ ენაზე. ხშირმა ტრენინგებმა და სკოლაში ინტერნეტის შემოყვანამ ხომ უსაზღვროდ გაზარდა მასწავლებლის შესაძლებლობები. „British council“-ის ვებგვერდი ჩვენი საუკეთესო მასპინძელია: სიმღერები, სხვადასხვა უნარების განმავითარებელი სავარჯიშოები... რა გინდა, სულო და გულო! მარტო მოიცალე და ჩაუჯექი!

ზოგჯერ, როცა ყველა თავისი სავარჯიშოს შესრულებითაა დაკავებული და რაღაც ათიოდე წამით მარტო ვრჩები საკუთარ თავთან, ვაკვირდები რვეულებში თავჩარგულ მოსწავლეებს და ვხვდები ყველაზე მნიშვნელოვანს – ამ წუთში შეიძლება ყველას არ ახსოვს არაწესიერი ზმნების ფორმები

წარსულ დროში, მაგრამ სწავლა ყველას უყვარს... თურმე ინტერესი სწავლისადმი გაზრდილა, თურმე დამოკიდებულება მის მიმართ შეცვლილა.

ასე არ იყო შვიდი წლის წინათ!

ლალი ცისკარაშვილი-ბედენაშვილი
წალკა. სოფელ საბეჭისის საჯარო სკოლა

საინტერესო ღონისძიება

დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას. მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან 9 თებერვლის ჩათვლით, სკოლაში ჩატარდა ისტორიის კვირეული. IX-კლასელებმა დაამუშავეს მათთვის საინტერესო ისტორიული თემები და საკითხები, რომლებიც პედაგოგებისა და მოსწავლეების წინაშე წარმოადგინეს. გაწეული სამუშაოსთვის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, **ნუნუ ბაღდოშვილმა** მათ მადლობა გადაუხადა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო 8 თებერვალს გამართული ვიქტორინა თემაზე: „ვინ უფრო წიგნიერია“, რომელიც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიეძღვნა. ვიქტორინის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, მონათესავე კათედრის მასწავლებლებისგან დაკომპლექტდა ჟიური, რომლის თავმჯდომარე იყო სკოლის დირექტორი **გიორგი ქომეთიანი**, ხოლო ღონისძიებას თავად ვხელმძღვანელობდი.

IX-XI-კლასელებმა ჩამოაყალიბეს 2 გუნდი – „ფესვები“ და „ნერგები“. „ნერგების“ გუნდმა ლიდერად **ვანო მაისურაძე** აირჩია, „ფესვებმა“ კი – **ნიკა თათოშვილი**. მოსწავლეებმა ჯერ თავიანთი გუნდების დასახელებაზე ისაუბრეს – თუ რატომ აირჩიეს ეს სახელები, შემდეგ კი გაჩაღდა ცხარე კამათი ცალკეული კითხვის ირგვლივ, ვინ უფრო სწორ და ამომწურავ პასუხს გასცემდა. ორივე გუნდმა სათანადო ცოდნა გამოავლინა, მაგრამ გამარჯვება „ფესვებს“ დარჩა.

ვიქტორინის მსვლელობისას, მონაწილეებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები, ხოლო ქულების შეჯამების პერიოდში, X-კლასელებმა – **ნინო ივანიშვილმა** და **თამარ მაისურაძემ** მუსიკალური ნომრები შეასრულეს, რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა ღონისძიება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ IX კლასის მოსწავლეები და X კლასის ორი მოსწავლე: **ბაგრატ კირთაძე** და **მარიამ მათოშვილი**.

დასასრულ, სკოლის დირექტორმა, **გიორგი ქომეთიანმა** მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და აღუთქვა ექსკურსიის მოწყობა საქართველოს ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

საგანმანათლებლო სივრცეში უფრო აქტიური ჩართულობისათვის

განათლების მწვერვალებისაკენ სწრაფვა ქართველ კაცს ოდითგანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ასეა დღესაც, ასე იქნება ხვალაც. სხვანაირად წარმოუდგენელია, სკოლა ხომ მომავალი თაობის გზის მანათობელი ბეწვის ხიდია, რომელზედაც ყველამ უნდა გაიაროს, მაგრამ როგორ? ეს მოზარდის ნიჭზე, შრომისმოყვარეობაზე, უნარსა და ოსტატურად შედგენილ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამაზეა დამოკიდებული, აქ კი სიყვარულმა უნდა დააკავშიროს მოსწავლე და მასწავლებელი.

ეს აზრი გასდევდა ლაიტმოტივად სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლაში ამას წინათ გამართულ ღონისძიებას დევიზით – „ხელოვნებაა თავად უკვდავება“. ამ საზეიმო თავყრილობაზე მოწვეული იყვნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და რესურსცენტრის ხელმძღვანელი მუშაკები, სტუმრები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მათ საშულება ჰქონდათ ეხილათ სკოლის მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტი „თექის მხატვრული დამუშავების საწყისები“ – ნამუშევართა გამოფენა და მუშაობის პროცესი, საგამოფენო დაფა „ჩვენ გვიყვარს თექა“; ნახატების გამოფენა „ჩვენი თვალით დანახული სამყარო“.

გარდა ამისა წარმოდგენილ იქნა 2011-2017 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტების შედეგები.

მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს სკოლის სერტიფიცირებულ, არჩეულ დირექტორს, მათემატიკის უფროს მასწავლებელს, **ნინო წილოსანს**, რომელიც ექვსი წელია მუხლჩაუხრელი შრომით აქტიურადაა ჩართული სკოლის ცხოვრებაში. გაიხსენეს დრო, როცა ქალბატონი ნინო სკოლაში მობრძანდა და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიუხედავად შეძლო, საკუთარი ინიციატივით, პირველს დაეგეგმა სასკოლო სანიმუშო გაკვეთილები და სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ჩართულია USAID-ის დაწყებითი განათლების პროექტის G-pried მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში; სამოქალაქო განათლების პროგრამაში „მომავლის თაობა“; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურს-პროექტში „სამშობლო ჩემი უბნიდან იწყება“; ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ პროექტში „კინო-სკოლა“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის TPDC-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში „პროფორიენტაცია“ და პროექტში „ფოტო სინთეზი“; CENN-ის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად, სკოლის ეზოში მზადდება მინერალური სასუქი, სახელწოდებით – „კომპოსტი“.

ღონისძიების მსვლელობისას თითოეულ პროექტზე იყო საუბარი, მთავარი აქცენტი გაკეთდა ბოლო პროექტზე – „თექის მხატვრული დამუშავების საწყისები“, რომელიც წარმოადგინა პროექტის კოორდინატორმა, სკოლის მასწავლებელმა **ნინო კახნიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წრეში გაერთიანებული ბავშვები ინტერესით გაეცვნენ თექის განვითარების ისტორიას, მოეწყო გაცნობითი სახის ექსკურსიები უნივერსიტეტის დიზაინისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში და მარტვილის დედათა მონასტრის თექის სახელოსნოში. მოსწავლეებმა შეისწავ-

ლეს თექის ნაკეთობათა დასამზადებლად კომპოზიციების შექმნის პრინციპები, ესკიზების შესრულება ფერში, თექის აქსესუარების დამზადება სველი და მშრალი წესით, თექის ნაკეთობების დამზადება კომბინირებული მეთოდით და ა.შ.

ღონისძიებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი **ნინო წილოსანი**, რომელმაც მადლობა გადაუხადა პროეტის ხელმძღვანელს, **თამარ მოსეშვილს**, თექის მხატვრული დამუშავების საწყისების პედაგოგს, **რუსუდან ბოჭორიშვილს**, ხელოვნების მასწავლებელს, **სალომე რუხაძეს**, კოორდინატორს, **ნინო კახნიაშვილს** და მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ თექის მხატვრულ დამუშავებაში, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეშვიდეკლასელ **ნინო ჩოგოვაძეს**, რომელიც მშობელთან ერთად, თავისი შესაძლებლობების შესაბამისად, ჩართული იყო ამ და სხვა პროექტებში.

ქალბატონმა ნინომ ასევე მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს: წყალტუბოს საკრებულოს თავჯდომარეს, **გრიგოლ ივანეიშვილს**, მერის პირველ მოადგილეს, **ზურაბ მაისურაძეს**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, **მამუკა ჩხეტიანს**, საკრებულოს წევრს თენგიზ ნიჟარაძეს, ბანოჯის სკოლის ყოფილ დირექტორს, ამჟამად ქუთაისის №32 საჯარო სკოლის დირექტორს, **ჯეირან კოღუაშვილს**, მერის წარმომადგენელს გუმბრის თემში **ამირან ბალანჩივაძეს** და პროექტების ყველა თანამონაწილეს.

მომავალშიც არაერთ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ, რომელიც მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ცოდნის შეძენისადმი მათი ინტერესის გაღვივებას შეუწყობს ხელს.

მაკა ტყაბლაძე
ბანოჯის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

აქტუალური თემა

„ჩანს, ჩვენთვის დღეს აფხაზეთი უფრო შორსაა, ვიდრე აფრიკა“

ლალი ჯელაძე

პროტესტი აფრიკაში მოგზაურობას

„მერე წუპაკა აცეტონზე შეჯდა და ბოლომდე ჩაეშვა, სულ გათიშული დადიოდა. აი, ხო გელაპარაკებოდა არა, ჩვეულებრივად, უცებ აურევდა, სულ სხვაგან წავიდოდა, ბოდავდა თუ რა იყო, არ ვიცი – ხან დედას მეძახდა, ხან მამას, ხანაც რა ვიცი – რას. ბოლოს მოკვდა. ამბობდნენ, გაიყინაო, მაგრამ ტყუილია, აცეტონით მოიწამლა. ეს სარდაფი რო არ მეშოვნა, მეც წუპაკასავით დამემართებოდა, რადგან, როცა კაიფობ, აღარ გცივა, უფრო სწორად, სიცივეს ვეღარა გრძნობ. თანაც, თითქოს ტელევიზორს უყურებო, ხედავ, როგორ მოდიან სპილოები, ლომები, ჟირაფები. მოდიან და მოდიან, შენ კი უყურებ. მაგრა ასწორებს.“ – ეს ამონარიდი **ნუგზარ შატაიძის** მოთხრობიდანაა „მოგზაურობა აფრიკაში“, რომელმაც, საზოგადოების ყურადღება **გიორგი ოვაშვილის** გახმაურებული ფილმის „გაღმა ნაპირი“ გამოსვლის შემდეგ (რომელმაც არაერთი საერთაშორისო პრიზი აიღო), უარყოფით კონტექსტში მიიპყრო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მე-7 კლასელი მარიამის მამამ – **გია ყრუაშვილმა** სოციალურ ქსელში შვილის ვიდეო გამოაქვეყნა – *„მე უარს ვამბობ ამ გაკვეთილის სწავლაზე“*. მეშვიდეკლასელი ვიდეოში აპროტესტებს ამ მოთხრობის სწავლას და მოჰყავს ციტატა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოდან, რომელიც „წებოთი კაიფს “ აღწერს. 12 წლის გოგონა აცხადებს, რომ უარს ამბობს ამ გაკვეთილის სწავლაზე და ურჩევნია საერთოდ არ იაროს ისეთ სკოლაში, სადაც „ნარკოლოგიურ გაკვეთილებს ასწავლიან“. ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოუწოდებს, სახელმძღვანელოებში უფრო მეტად საქართველოს ისტორია ასწავლონ.

მოსწავლის პროტესტს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის მოთხრობის მიმართ საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, ნაწილი მიიჩნევს, რომ დიახ, არ უნდა ისწავლებოდეს აფხაზეთის ომის შედეგად დაზარალებული ხალხის ტკივილი, სიდუხჭირესა და ომის შედეგად გახლეჩილ ოჯახებში გაზრდილი ბავშვების ბედი, რამაც ისინი მაწანწალებად აქცია და რეალობისგან თავდასაღწევად წებოს ყნოსავენ. ამას ის საზოგადოება აცხადებს, რომელიც, თითქოს, იმის შემსწრე და მხილველი თავად არ ყოფილიყო, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდამდე, როცა „ტოქსიკომანი“ ბავშვებით სავსე იყო მიწისქვეშა გადასასვლელები თუ მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორია. წებოთი გაბრუებული, დახმარების სათხოვნელად ხელგამოწვდილი გოგო-ბიჭებით სავსე თბილისის ქუჩები ჩვენი ისტორიის ნაწილია, რომელსაც გვერდს ვერც ერთი მეშვიდეკლასელის მშობელი ვერ აუვლის. თუკი მის მეხსიერებას უახლესი წინანდელ წარსულის კადრები ჯერ კიდევ შემორჩენია, შვილის ამ განცხადებას ვეღარ გაახმოვანებს, რადგან თვალწინ დაუდგება სიცივისგან ლოყებაწითლებული და ხელებდაკოჟრილი ბავშვების „უსასტიკესი“ გამოსავალი, უმძიმეს რეალობას თავი ამ გზით რომ დააღწიონ – წებოთი გაბრუებულებმა იმოგზაურონ აფრიკაში ჟირაფებთან ერთად. ეს მათი მძიმე ხვედრია და ამის უარყოფით დღეს შვილებს ვერ დავიცავთ „ცუდი მაგალითებისგან“, რადგან პრობლემის მიჩქმალვა კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოშობს. მოთხრობიდან ამოგლეჯილი ფრაზებით კი, წარმოუდგენელია მის გავლენასა თუ ავ-კარგიანობაზე მსჯელობა.

დავით პაიჭაძე, რომელიც კერძო სკოლა „ნიუტონში“ ქართულს ასწავლის, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის, **მარიამ ჩიქობავასადმი** მიმართვით გამოეხმაურა ნუგზარ შატაიძის მოთხრობის სწავლების გაპროტესტებას:

„ქალბატონო მარიამ ჩიქობავა, ნუგზარ შატაიძის ეს მოთხრობა შეტანილია ქართული ენისა და ლიტერატურის მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში სრულად. ამ სახელმძღვანელოს ავტორები არიან ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი და სხვები. სამწუხაროდ, სიუჟეტში ვერ გავარჩიე, ვინ არის მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოს ავტორი. თუმცა, ვერც მეშვიდეკლასელთათვის ვხედავ რაიმე პრობლემას ხსენებული მოთხრობის სწავლებისას. მეცხრეკლასელებთან ერთად კი თავად გავიარე ეს ტექსტი კლასში. ქალბატონო მარიამ, შესაძლოა, თქვენ, ასევე განათლების სამინისტროს სხვა პასუხისმგებელ მოხელეებს, ხანდახან გჭირდებოდეთ მოკავშირე, უმეცრებასთან შეხვედრისა და დაპირისპირების დროს, რათა პოზიციები მათ წინაშე არ დათმოთ. დაუჯერებელი და შეუძლებელი მგონია, ზუსტად ამ ბავშვისა და მშობლის მსგავსად კითხულობდეთ მხატვრულ ტექსტს და ის მხოლოდ პროპაგანდის ან რეკლამის იარაღად გესახებოდეთ.

...ვფიქრობ, ლიტერატურის მასწავლებელს შეუძლია ეს მოთხრობა ადეკვატურად აუხსნას ბავშვებს, გინდ მეშვიდე, გინდ მეცხრე კლასში, რაც ბავშვს ეჭვს მაინც გაუჩენს, რომ მისი მშობლის ინტერპრეტაცია არაა მართებული, ასეთ გაგებას ლიტერატურის კითხვასა და აღქმასთან საერთო არაფერი აქვს. შესაძლოა, ტელევიზიამ ისე დაამონტაჟა თქვენი საუბარი, რომ ჩვენ ვერ მოვისმინეთ თქვენი პოზიცია სრულად. ვისურვებდი, პოზიცია გულისხმობდეს სიმტკიცეს ლიტერატურის შესახებ ასეთი შეუსაბამო და უკადრისი მსჯელობის წინაშე. თქვენ ხვდებით, რბილ სიტყვებს ვიშველიებ...“

მარიამ ჩიქობავა ამბობს, რომ ამჟამად მოქმედი (2011-2016 წლების) ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალში შესულია ნუგზარ შატაიძის თხზულება, თუმცა არ ზუსტდება, რომელ კლასში უნდა ისწავლებოდეს ესა თუ ის ტექსტი. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ეს მოთხრობა ერთ შემთხვევაში – მე-9 კლასის სახელმძღვანელოში, ხოლო მეორე შემთხვევაში – მე-7 კლასის (ავტორი – ნათელა მაღლაკელიძე). *„სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალი თავის დროზე შეადგინა ავტორიტეტულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და საგნის მასწავლებლები, მაგრამ, თავისთავად, ეს ისეთი საკითხია, რომელზეც ცალსახა და ერთიანი პოზიციის შეჯერება, დამეთანხმებით, საკმაოდ რთულია. 2011 წლის შემდეგ, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა დამტკიცდა, განუწყვეტლივ ვიღებთ კითხვებს იმაზე, თუ რატომ არ არის ჩამონათვალში შესული ესა თუ ის მწერალი ან ნაწარმოები, ვიღებთ შემოთავაზებებს სხვადასხვა ნაწარმოების დამატების თაობაზე და ა.შ. ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია. 2017 წლის დეკემბრიდან, საჯარო სივრცეში, დევს საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის განახლებული სტანდარტის პროექტი.*

განახლებულ კონცეფციას ორი პრობლემა უნდა გადაეჭრა:

1. ძალზე გადატვირთული პროგრამის განტვირთვა;

2. ლიტერატურული ნაწარმოებების არჩევანის გაფართოება, მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ავტორებისთვის მეტი თავისუფლების მიცემა ნაწარმოებების შერჩევისას.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად სამუშაო ჯგუფი, რამდენიმეთვიანი შეხვედრებისა და კონსულტაციების რეჟიმში, შეჯერდა იმ პოზიციაზე, რომ პედაგოგებსა და სახელმძღვანელოების ავტორებს სავალდებულოდ შესთავაზოს მხოლოდ ქართული მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები (როგორც სავალდებულო მინიმუმი) – შერჩეული ამ ასაკის მოზარდების შინაგანი სამყაროსთვის აქტუალური პრობლემების (მაგ., თვითდამკვიდრება, თვითშემეცნება, თავისუფლება, მეგობრობა, სიყვარული და ა.შ.) გათვალისწინებით. ასეთი მიდგომით სახელმძღვანელოების ავტორებს/პედაგოგებს საკმაოდ დიდი „სივრცე“ დარჩებათ იმისთვის, რომ შეარჩიონ ნაწარმოებები თავიანთი შეხედულებისამებრ. ახალი კონცეფციის თანახმად, ნუგზარ შატაიძის ტექსტი სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალში არ შევიდა. როგორც უკვე ითქვა, ახალი კონცეფციის საფუძველზე შედგენილი სტანდარტი, 2017 წლის დეკემბრიდან, დევს საჯარო სივრცეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. მეტიც: ახალი კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული პირველადი სამუშაო ვარიანტი ჯერ კიდევ 2016 წლის ოქტომბერში დაეგზავნა საჯარო სკოლებს, ქვეყნის მასშტაბით და მათგან სათანადო გამოხმაურებებიც მივიღეთ.

ამდენად, იმაზე საუბარი, რომ კონკრეტული პირის ვიდეომიმართვის საფუძველზე სამინისტრომ შეიძლება ნაჩქარევად მიიღოს რაღაც გადაწყვეტილება, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. ვინც თვალყურს ადევნებს განათლების საკითხებს, მისთვის ცნობილი იქნება, რა დიდი ომი გადავიტანეთ საგნის „მე და საზოგადოების“ სტანდარტის დამტკიცებაზე – ვგულისხმობ არა კონსტრუქციულ კრიტიკას, არამედ ტყუილს, ცილისწამებას და ათასგვარ ბრალდებას. ამისდა მიუხედავად, სამინისტროს გადაწყვეტილება არ შეუცვლია, სტანდარტი დამტკიცდა, პილოტირებაც გაიარა და ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ყველა სკოლაში შევა სავალდებულოდ. რამდენიმე თვის წინ მსგავსი ამბავი ატყდა ბიოლოგიაში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლებაზე: ლამის ანათემას გადაგვცეს, მაგრამ ბიოლოგიის სტანდარტის რევიზია განხორციელდა და ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, რა თქმა უნდა, პროგრამაში დარჩა. ამდენად, მინდა დაგარწმუნოთ, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ საკითხებზე გვესმის მრავალი კონსტრუქციული თუ არაკონსტრუქციული კრიტიკა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება იმ რწმენით, რომ ეს გადაწყვეტილება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს მოემსახურება.

თუ ვინმეს ის აღიზიანებს, რომ სამინისტრო და, კონკრეტულად, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ყველა მოსაზრებას განიხილავს და შეხვედრებს აწყობს სხვადასხვა პოზიციის მქონე დაინტერესებულ მხარეებთან, მოგახსენებთ, რომ ამ დეპარტამენტის ფუნქცია ისიცაა, ერთგვარი შუამავალი იყოს საზოგადოების ფართო წრეებსა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შორის. ეროვნული სასწავლო გეგმა ის დოკუმენტია, რომელიც მეტ-ნაკლებად გაზიარებული უნდა იყოს სხვადასხვა მხარის მიერ და ჰქონდეს სათანადო მიმღეობა – სხვაგვარად საკლასო სივრცეში მისი დანერგვა წარმოუდგენლად მეჩვენება.

რაც შეეხება კონკრეტულად ნუგზარ შატაიძის ამ ნაწარმოებს, ჩვენი პოზიციაა, რომ მე-7 კლასისთვის აღნიშნული ტექსტის შეთავაზება საკმაოდ ნაადრევია, ტექსტი უფრო ახლოა მეცხრე-მეათეკლასელთა სულიერ სამყაროსთან. ასევე ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში (ნ. მაღლაკელიძე) კონკრეტულად ეს მონაკვეთი სათანადოდ არ მუშავდება. ცხადია, სწორი პედაგოგიური მიდგომის შემთხვევაში, უფრო მძიმე თემა თუ ტექსტიც სარგებლის მომტანი იქნება მოსწავლეებისთვის, მაგრამ ფაქტი სახეზეა: პედაგოგს რომ სწორი მიმართულება მიეცა მოსწავლისთვის, დღეს ეს ვიდეო არ დაიდებოდა. ამდენად, გარკვეული რისკები არსებობს, რომ არასათანადოდ ინტერპრეტირების შემთხვევაში, ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები რელევანტურად ვერ გაიგებენ ნაწარმოების მთავარ იდეას.

აუცილებლად მინდა ისიც აღვნიშნო, რომ არავინ აკნინებს ნუგზარ შატაიძის ამ ნაწარმოების ღირებულებასა და აღმზრდელობით მნიშვნელობას, სწორედ ამიტომ მოხვდა იგი 2011-2016 წლების საგნობრივი პროგრამის ჩამონათვალში. როგორც ითქვა, განახლებული სტანდარტის ჩამონათვალში ამ ნაწარმოების არარსებობა განპირობებულია არა მისი დაწუნებით, არამედ იმ მიზეზებით, რომლებიც ზემოთ უკვე განგიმარტეთ.“

სახელმძღვანელოს ავტორი **ნათელა მაღლაკელიძე** კი სოციალურ ქსელში ასე ეხმაურება იმ ვნებათაღელვას, რომელიც ამ ნაწარმოების სწავლებამ გამოიწვია: *„მსურს გამოვეხმაურო იმ ვნებათა ღელვას, რომელიც მე-7 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში (გამომცემლობა „მერიდიანი“, ავტორები: ნ. მაღლაკელიძე, ნ. ღონღაძე, დ. კვანჭიანი, თ. ცხადაია, თ. ღონღაძე) შეტანილმა ნუგზარ შატაიძის მოთხრობამ „მოგზაურობა აფრიკაში“ გამოიწვია.*

1. მოთხრობა წარმოდგენილია 2012 წელს განათლების სამინისტროს მიერ შედგენილ სავალდებულო საკითხავი მასალის 60-პროცენტიან ჩამონათვალში. ამდენად, მისი შეტანა/არშეტანა ჩვენზე არ ყოფილა დამოკიდებული. ძალიან ცუდია, თუ სამინისტროს ხელმძღვანელობას დღეს ეს არ ახსოვს;

2. რაც შეეხება თავად ამ ტექსტის მხატვრულ ღირსებას, მოკლედ ვიტყვი – მას ჩემი დაცვა არ სჭირდება და საწყენია, თუ ზოგიერთმა მკითხველმა მასში მხოლოდ ნარკომანიის პროპაგანდა და მოზარდებისთვის ცუდი მაგალითი დაინახა. ბარემ აქვე შეგახსენებთ – იყო დრო, „ვეფხისტყაოსანსაც“ „ყმაწვილთა გარყვნას“ უკიჟინებდნენ და ამ წიგნს მაშინდელი ზნეობის „დამცველები“ კოცონზე წვავდნენ. კარგ ტექსტს კარგი წამკითხველი სჭირდება და მხოლოდ ამოგლეჯილი ფრაზებით არ უნდა ვიმსჯელოთ მხატვრული ნაწარმოების ავ-კარგის შესახებ;

3. არავითარი კავშირი პარტია „გირჩთან“ არ მაქვს (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა) და არც განათლების სამინისტროში ვმუშაობ (როგორც ზოგიერთს ჰგონია);

4. რაც მთავარია – განათლების სამინისტროში დასასრულს უახლოვდება სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი, ამიტომაც მომრავლდა მსგავსი გამოხდომები (უფრო რბილი სიტყვა ვერ მოვძებნე) ჩვენი თანაავტორობით შედგენილ წიგნებზე. მიგვაჩნია, რომ ეს შავი პიარია და ერთგვარი ზეწოლაა განათლების სამინისტროზე. ამ პიარს „ეწირებიან“ ჩვენს სახელმძღვანელოში შეტანილი მწერლებიც.

ამით ვამთავრებ ამ საკითხზე საუბარს. პირადად მე ამ დისკუსიის გაგრძელებით თავს აღარ შეგაწყენთ.“

„12-13 წლის ბავშვებში როდესაც შემოაქვთ ასეთი გაკვეთილები, არ არის გამორიცხული, რომ მეორე გააკეთებს ამას და მერე კიდევ უკვირთ, თუ რატომ ხდება დაპირისპირება სკოლის მოსწავლეებს შორის – დაჭრები და ა.შ. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება სკოლაში ისწავლებოდეს უფრო მეტი საქართველოს ისტორია, ვიდრე აცეტონის შესუნთქვა და სხვა ნარკოლოგური რაღაცეები. ეს გაკვეთილი მოიცავს დაახლოებით 15-20 ფურცელს და, თითქმის, სულ ასეთი რაღაცეებია მოცემული. თუ მე იმის გამო, რომ ამ გაკვეთილს არ ვისწავლი სკოლაში პრობლემები შემექმნება, მიმაჩნია, რომ საერთოდ აღარ ვისწავლო. ამ თაობას ნამდვილად არ სჭირდება ამაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, წიგნში, იმიტომ, რომ თითქმის ყველა ბავშვი მიდრეკილია ძველბიჭობაზე, დაჭრებზე და ა.შ. წიგნში ამის სწავლით, პირიქით, უარესს აკეთებენ და მე მგონი არ უნდა ამბობდეს ამას 12 წლის ბავშვი და ეს თქვენთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო აქამდე.“ – ამბობს მეშვიდეკლასელი მარიამი.

მარიამ ჩიქობავას აზრით, მასწავლებლის დახელოვნებაზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. ასეთი ტიპის თემები ამ ასაკის მოზარდებს ძალიან აინტერესებთ და არანაირი ინფორმაცია რომ არ მივაწოდოთ, თავისისთაც მოიძიებენ. *„ამ შემთხვევაში, მთავარია, როგორ წარმართავს მასწავლებელი ამ ნაწარმოების სწავლა-სწავლების პროცესს. მე დავინტერესდი, როგორ არის ეს თემა სახელმძღვანელოში გაშლილი. სამწუხაროდ, არ არის ისეთი კითხვები დასმული, რომ ამ პრობლემაზე დააფიქროს მოსწავლე. ასეთ თემებს კი არ უნდა გავექცეთ, პირიქით, სწორი შეხედულებები უნდა ჩამოვუყალიბოთ მოსწავლეებს. ადიქციურ (ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და ალკოჰოლის მოხმარება, კიბერდამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება) ქცევაზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანია ამ ასაკში, აუცილებელია, სწორი ფორმებით და სტრატეგიით წარმართოს მასწავლებელმა ამ თემების შესახებ მსჯელობა. სახელმძღვანელოში რა ნაწარმოებები დაემატება, ეს გრიფირების კრიტერიუმებით დარეგულირდება, რომ იქაც არ გაიპაროს მსგავსი ტიპის პასაჟები. შეიძლება ნაწარმოები საკმაოდ კარგი იყოს, მაგრამ ისეთი ტერმინები ან ფრაზები გამოიყენებოდეს, რაც არ არის სასურველი, მოზარდებმა იკითხონ. შეიძლება, ამ შემთხვევაში, ადაპტირება მოხდეს, გარკვეული მონაკვეთები შეიცვალოს და შესაბამისი მითითებაც გაკეთდეს.“*

მასალის მომზადებისას წავაწყდი **გია არგანაშვილის** მიერ მოთხრობის გამოჩენისას დაწერილ რეცენზიას, რომელიც საუკეთესოდ ამბობს ამ ნაწარმოების სათქმელს და, გარკვე-

აქტუალური თემა

ულწილად, პასუხს სცემს მოთხრობის „ცუდი მაგალითის მიმცემად“ აღმქმელ ადამიანებს:

„ნუგზარ შატაიძის ახალი მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ არა მხოლოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის, არამედ მწერლის შემოქმედებისთვისაც სასიამოვნო თემატური სიახლეა. კარგი თემის მიგნება კი ოქროს ძიებას ჰგავს. ერთი ცნობილი არაკის მიხედვით, ღმერთი კაცს ვიდრე სისხლს არ დაანთხევინებს, არაფერს მისცემს. მე არ ვიცი, რა სიმწარე გადაიტანა მწერალმა ამ მოთხრობის დაწერამდე, რა გამოცდილება შეიძინა. ისიც კი არ ვიცი, თვითონ თუ უმოგზაურია აფრიკაში. არ ვიცი და არც ვკითხულობ. ნუგზარ შატაიძე ისეთი ოსტატია, ტალახიც რომ მოზილოს, მაინც პურს გამოაცხობს. (ეს შედარება უხდება „პურის მოთხრობის“ ავტორს), ამ მოთხრობაში ქუჩის მტვერი, უპატრონო ბიჭების ბედი და აფხაზეთის ტრაგედია მუყაოს ყუთშია მოზელილი, და მე ვიტყოდი, მწერლის შემოქმედებისთვის ეს საუკეთესო ნაცხობია.

ამ მოთხრობაში ნუგზარ შატაიძის სადედაენო ქართული სულაც არ უცხოობს ქუჩურ გამოთქმებს: „აცეტონზე შეჯდა“, „ბოლომდე ჩაუშვა“, „მაგარი კაიფია“, „გაგუიმონ“ – უცხოობს კი არა, მგონი სწორედ ეს სიტყვები ჰქმნიან ხასიათს, გარემოს, კოლორიტს. მოთხრობაც ძალდაუტანებლად იკითხება, გმირებიც ცოცხლდებიან... მხოლოდ წუპაკაზე დამწყდა გული, დასაწყისშივე რომ კვდება, მარტო ეს მეტსახელი რად ღირდა? თუ ოდესმე მწერალი ამ თემას დაუბრუნდება, ვფიქრობ, რომ მასაც გული დაწყდება, იქ წუპაკას რომ ვეღარ ნახავს, თუმცა მწერლის რა ბრალია „წუპაკა აცეტონზე შეჯდა და ბოლომდე ჩაეშვა... ბოლოს მოკვდა. ამბობენ გაიყინაო, მაგრამ ტყუილია, აცეტონით მოიწამლა.“

რამდენჯერ შეიძლება კარგი მოთხრობის წაკითხვა? ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, რომ დასაწყისისთვის ეს სრულიად საკმარისია, რადგან კითხვის სიამოვნებისგან რომ მოიწყენ, სწორედ მაშინ ჩნდება კრიტიკის (თუ კირკიტის) სურვილი.

რამდენადაც ძლიერია მოთხრობაში აფრიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილება, რამდენადაც ახლოს მოდიან სპილოები, მარტორქები, ანტილოპები, ისე ახლოს, რომ გრძნობ მათ სუნს, სითბოს, იმდენად სუსტია და შორიდან ისმის აფხაზი დაურის ხმა. აფხაზეთში დარჩენილი მამის სახესავით ბუნდოვანია იქაური ცხოვრება. ამიტომ იქ აწმყოს წარსული სჯაბნის, ნანახს და განცდილს მოგონება სჭარბობს, მწერლის მდიდარ ფანტაზიასაც კი უჭირს იმ სიცარიელის ამოვსება, რომელსაც ნაცნობი ადგილების ხელახალი ხილვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა იწვევს ჩვენში.

ჩანს, ჩვენთვის დღეს აფხაზეთი უფრო შორსაა, ვიდრე აფრიკა.

აფხაზეთში მამის საძებნელად წასულ ბიჭს, თავისი გაპარტახებული სახლიდან, უზრუნველი ბავშვობის ერთადერთი ტკბილსახსოვარი ხსოვნა და ნაჭრის დათუნია „გერასიმე“ მოაქვს თბილისში. ახლა „გერასიმემ“ უნდა გაზარდოს ბიჭი, უნდა გაათბოს, დააპუროს, მოეფეროს, დაარიგოს, დატუქსოს კიდეც. უნდა ასწავლოს, რომ ქვეყნად ბევრი ცუდი და ბოროტი ხალხია, მაგრამ კარგი ადამიანებიც არიან... გაუძლებს „გერასიმეს“ დაძენძილი მხრები ამ ტვირთის ზიდვას? მე კი მგონია, რომ თხუთმეტი წლის ბიჭი, რომელმაც უკვე ნახა სიკვდილი და იცის, რომ ზოგი კაცი მოსაკლავია, რომელმაც დედას საქორწილო ბეჭედი მოპარა, ახლა კი აცეტონზე ზის და აფრიკაში მოგზაურობს, „გერასიმეზე“ ვეღარ იკაიფებს. არც თავს მოიტყუებს. აი, მკითხველი კი შეიძლება ადვილად მოტყუვდეს, თუ ირწმუნებს, რომ ეს უსახელო ბიჭი (მერე რა, თუ მოთხრობის ფინალში მწერალმა ისიც გაიმეტა: „სულ ბოლოს ორი გიენაც მოვიდა“), რომელიმე წუპაკა ან გოშკა სულ მუდამ პერსონაჟის როლს დასჯერდება და მოთხრობაში დარჩება, რაც არ უნდა უნაკლოდ იყოს იქ მისი პორტრეტი შესრულებული.

ოდესმე ის აუცილებლად გამოძვრება მუყაოს ყუთიდან და საზოგადოებას იქ გატარებული წლების გამო პასუხს მოსთხოვს.

ლიტერატურული კრიტიკა აღნიშნავს ამ ფაქტს, გაიხსენებს, ამ გმირს ჩვენ მოთხრობიდან ვიცნობთ, რომ მწერალმა დიდი ხნის წინათ შენიშნა ის და ქართულ პროზას ძვირფასი მხატვრული ქმნილება შესძინა.

ვითომ მწერლისთვის დიდი პატივი იყოს წინასწარმეტყველების ნიჭი.“

12 წლის გოგონასა და მის თანამოაზრეთა პროტესტს საუკეთესოდ პასუხობს ბატონი გიას სიტყვები, რომ რომელიმე წუპაკა ან გოშკა სულ მუდამ პერსონაჟის როლს არ დასჯერდებიან და მუდმივად მოთხრობაში ვერ დარჩებიან... ოდესმე აუცილებლად გამოძვრებიან მუყაოს ყუთიდან და საზოგადოებას იქ გატარებული წლების გამო პასუხს მოსთხოვენ. სამწუხაროა, რომ ეს პასუხი საზოგადოების ნაწილისთვის არასწორადაა აღქმული და „პრობლემა“, რომელიც მოთხრობაშია წარმოჩენილი არასწორ ინტერპრეტაციებს იძენს, „აფრიკაში მოგზაურობა“ ჩვენი უახლოესი მძიმე წარსულია, რომლის გვერდის ავლა მშობლების იმ ნაწილისთვის, რომლებიც მის სწავლებას აპროტესტებენ, მხოლოდ თავის მოტყუებაა, რომ შვილებს სწორად ზრდიან.

გამოცდები — 2018

საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აგრძელებენ გამოსაშვები გამოცდების მოდელში შესაძლო ცვლილებებზე მუშაობას. დღეისათვის, დაზუსტებულია 2017-2018 წლისთვის გათვალისწინებული სიახლეები. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2017-2018 სასწავლო წლის ბოლოს, საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება – ტესტირების დასრულებისას მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა ქულას, არამედ შეტყობინებას იმის შესახებ, გადალახა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი – მინიმალურ 5,5 ქულაზე მეტი მიიღო თუ ნაკლები.

ამ სიახლეს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის დირექტორმა, **მაია მიმინოშვილმა** საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა და ვიდრე უშუალოდ დაგეგმილ ცვლილებებზე დაიწყებდა საუბარს, ის მიზეზები გაიხსენა, რომელიც საატესტატო გამოცდების ამ კონკრეტული სისტემის შემოღებას უძღოდა წინ – 2010 წელს საქართველოს მთავრობამ სკოლებში საატესტატო გამოცდების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. ტესტირების შინაარსობრივი, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური (პროგრამული) მხარის მომზადება, შემდეგ კი – განხორციელება, გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა. ცენტრი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა – რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო და საქართველოს ყველა სკოლაში, ერთდროულად, ცენტრალიზებულად ჩატარებულიყო სკოლის გამოსაშვები (საატესტატო) გამოცდები 8 საგანში – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.

„გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იქნა მიღებული და ჩვენ ვალდებული ვიყავით, შემოგვეღო გამართული საგამოცდო სისტემა. ბუნებრივია, მიზნად დავისახეთ სასერტიფიკაციო ტიპის საგამოცდო სისტემის შემოღება და, იმთავითვე, ბარიერი, რომელიც უნდა გადაელახა მოსწავლეს, რომ დაედასტურებინა კომპეტენცია კონკრეტულ საგანში, ძალიან დაბალი იყო – მხოლოდ და მხოლოდ 5,5 ქულა (ან მეტი) უნდა მიეღო მოსწავლეს იმისათვის, რომ გამოცდა ჩაბარებულად ჩათვლოდა.

რადგან ეს სისტემა ე.წ. სასერტიფიკაციო ტიპისაა, იმთავითვე ვამბობდით, რომ მთავარია, მოსწავლემ ბარიერი გადალახოს და არა აქვს მნიშვნელობა მის შეფასებას კონკრეტული ქულით. მაშინ ეს ჩვენი შეთავაზება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არ მიიღო და იძულებულები გავხდით, შკალა, რომელზეც მაქსიმალური სიზუსტით იზომება მოსწავლის შესაძლებლობა, მათთვის ნაცნობ – 5-დან 10-ბალიან შკალაზე – გადაგვეტანა. თუმცა, ისევ გავიმეორებ, ნამდვილად გამართლებული იქნებოდა პრინციპი – გადალახავერგადალახა, ე.წ. Pass/Fail სისტემა და არა კონკრეტული ქულით მოსწავლის შეფასება.

ეს სისტემა მაქსიმალური სიზუსტით ზომავს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობას და თუ მან ვერ მოახერხა მინიმალური ბარიერის გადალახვა (რაშიც იგულისხმება, რომ კონკრეტულ საგანში მინიმალურზე მინიმალურ კომპეტენციას მაინც ფლობს), ეს, ბუნებრივია, არის ნიშანი იმისა, რომ მოსწავლე უბრალოდ არ არის ატესტატის მიღების ღირსი.“

იმისათვის, რომ მოსწავლემ საატესტატო გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახოს, დაახლოებით 15 მარტივ კითხვას უნდა გასცეს სწორი პასუხი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის განმარტებით, გამოცდების ცენტრი, თითოეული საგნისთვის, გამოაქვეყნებს ნიმუშებს, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სწორი წარმოდგენა შეექმნათ საგამოცდო დავალებებზე. ადაპტირებული ტესტირება ისევ ქართული მოდელით – geCat-ით ჩატარდება. მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული ტესტირების ქართული ვერსია – ალგორითმი და პროგრამული უზრუნველყოფა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა.

სიახლეა ისიც, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ყველა საგანში ნიმუშების რაოდენობა, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, გამოცდებამდე, ტესტების სხვადასხვა ვარიანტებზე ივარჯიშონ და მასწავლებელთან ერთად განიხილონ.

დამატებითი ნიმუშები თითოეული საგნისათვის უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე – www.naec.gov.ge.

„ხშირად ისმის კითხვა – რას ამოწმებს კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება? ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ის სისტემა, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით ზომავს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობას – ამბობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი – მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ 8-ვე საგანში მოახერხოს მინიმალური კომპეტენციის დადასტურება საატესტატო გამოცდებზე.“

შეკითხვაზე, ხომ არ იგეგმება გამოცდების რაოდენობის შემცირება, მაია მიმინოშვილმა უპასუხა: *„ერთ-ერთი გამოცდის ამოღებით ხელს შევუწყობთ იმას, რომ მოსწავლეებს ამ საგნის შესწავლის მოტივაცია დაეკარგებათ და დღეს, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ისედაც ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგანან, ბუნებრივია, ეს კიდევ ერთი მტკივნეული ცვლილება იქნებოდა სკოლებისთვის.“* გამოცდების რაოდენობა იგივე რჩება, მე-11 კლასის ბოლოს მოსწავლეები ჩააბარებენ ოთხ საგანს – ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და გეოგრაფიას, ხოლო ქართულს, მათემატიკას, უცხო ენასა და ისტორიას – მე-12 კლასის ბოლოს.

ზოგადად, სასერტიფიკაციო ტიპის გამოცდის სპეციფიკაზეც საუბრისას, ცენტრის დირექტორმა განმარტა, რით განსხვავდება ამ ტიპის ტესტირება, მაგალითად, სასელექციო ტიპის გამოცდისგან, სადაც ქულას მართლაც გარკვეული დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იქ აპლიკანტები კონკურსში მონაწილეობენ. *„სასერტიფიკაციო ტიპის გამოცდას ვიყენებთ მასწავლებლების შემთხვევაში, სადაც კონკრეტული ბარიერია დაწესებული და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი საფეხურით გადააბიჯებს ამ ბარიერს კონკრეტული აპლიკანტი. დატვირთვა სასერტიფიკაციო გამოცდისა სწორედ ეს არის – გადალახავს თუ არა კონკურსანტი დადგენილ ბარიერს.*

ძალიან მინდა, რომ პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, ღირსია თუ არა კონკრეტული მოსწავლე მიიღოს საშუალო განათლების ატესტატი, სკოლებთან ერთად გავიზიაროთ და ქვეყანაში არ იყოს ერთი კონკრეტული ორგანიზაცია, რომელიც ერთპიროვნულად მიიღებს გადაწყვეტილებას, იმსახურებს თუ არა მოსწავლე ატესტატს.“

მაია მიმინოშვილმა შარშანდელი აჟიოტაჟიც გაიხსენა, როდესაც დაახლოებით 11 ათასმა მოსწავლემ ვერც ერთ საგანში ვერ მოახერხა ბარიერის გადალახვა, რაც, ბუნებრივია, დაკავშირებული იყო გარკვეულ სტრესთან და ემოციებთან. *„კარგი იქნება, თუ ჩვენ ამ მღელვარებას მოვუხსნით მოსწავლეებს. ხშირ შემთხვევაში, მშობელიც და მასწავლებელიც ელოდება შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ ქულას, რომელიც ეწერება მოსწავლეს, არანაირი გავლენა არ აქვს მედალზე, წლიურ ნიშანსა თუ სხვა ნებისმიერ შეფასებაზე. მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს სისტემა კიდევ უფრო მეტად ასწევს სკოლის ავტორიტეტს. ხაზგასმით ვამბობ, რაც უნდა დახვეწილი იყოს საგამოცდო სისტემა, თუ სკოლა ობიექტურად აფასებს მოსწავლეს, ეს ყველაზე იდეალური საშუალებაა, ნამდვილად, მოსწავლის შეფასებისა. ამიტომ, ამ ახალი სისტემით, ჩვენი ორგანიზაცია, სკოლებთან ერთად, იღებს პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, ეკუთვნის თუ არა კონკრეტულ მოსწავლეს ატესტატი.“*

მოსწავლის კომპეტენციას ჯერ სკოლა შეაფასებს და მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში შეძლებს ის საატესტატო გამოცდის ჩაბარებას. *„როდესაც მოსწავლე თორმეტი წლის განმავლობაში სწავლობს სკოლაში, ყველაზე უკეთესად, რა თქმა უნდა, სკოლა შეაფასებს და ბუნებრივია, დადებითი შეფასების შემთხვევაში, მას შეუძლია, კიდევ ერთხელ დაადასტუროს მინიმალური კომპეტენცია კონკრეტულ საგანში,“* – აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი.

ამრიგად, სკოლის გამოსაშვები გამოცდები წელსაც ორ ეტაპად – მე-11 და მე-12 კლასებში – ჩატარდება, მაგრამ შეცვლილი ფორმატით – ტესტირების დასრულებისას, მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა მისთვის მინიჭებულ საგამოცდო ქულას, არამედ შეტყობინებას, ჩააბარა თუ არა სკოლის გამოსაშვები გამოცდები. შეფასებისა და გამოცდების ცენტრში აცხადებენ, რომ ეს სიახლე, რომელიც წელს დაინერგება, მნიშვნელოვანია და მოხარულები არიან, რომ მოხერხდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოსაზრებების შეჯერება.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

10 ლარი

თამარ გერროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია



6 ლარი

ბიოლოგია
ეროვნული გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

„ინტელექტი“ და არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჯურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.

სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასააზრებლად.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK